საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 220 (748) ხუთშაბათი, 7 ოქტომბერი, 1993 წელი. ფასი 70 კუპონი.

ათეულ ათასობით ლტოლვილი დღეს მთელი საქართველოს საზრუნავია. უნდა მოვინდომოთ, უნდა შევძლოთ, ქართველებო, დახმარების ხელი გავუწოდოთ მუხანათობისა და ღალატის შედეგად გაუბედურებულ, გასაჭირში ჩავარდნილ თანამოძმეებს, რომლებიც ახლა თოვლსა და ყინვაში მიიკვლევენ გზას სვანეთის უღელტეხილებზე. უნდა გავათბოთ, უნდა ვანუგეშოთ უკვე სამშვიდობოს გამოსულნი — თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, თელავში, სიღნაღში... ყველამ თანამოძმის ჭირი უნდა გავითავისოთ, ჭერი, სითბო, საწოლი თუ სარჩო-საბადებელი არ დავიშუროთ, რათა კვლავ აღდგეს რწმენა ჩვენი ერთობისა, კვლავ აღდგეს საქართველო!

პირველი სვეტი

ახლა სამტრედიას მიადგნენ

სამტრედიის გამგებელმა ნოდარ ძნელაძემ საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა, რომ ექსპრეზიდენტის მომხრე უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა, რომლებიც განლაგებული არიან სოფელ მარანში, ცხენისწყლიდან სამტრედიას შემოუტიეს და დაუშინეს ჭურვები „გრადის" ტიპის დანადგარებიდან. დაინგრა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, საწარმოები. არიან დაჭრილები, ერთი დაიღუპა. მთავრობის შეიარაღებულმა ძალებმა გახსნეს საპასუხო ცეცხლი, მაგრამ არ გამოუყენებიათ მძიმე ტექნიკა.

20 საათისათვის, როცა სამტრედიიდან ინფორმაცია გადმოიცა, ქალაქს კვლავ უტევდნენ ექსპრეზიდენტის მომხრე უკანონო შეიარაღებული ფორმირებები. როგორც სამტრედიის გამგებელმა განაცხადა, ისინი ქალაქში ვერ შევლენ, რადგან მას საიმედოდ იცავს მთავრობის შეიარაღებული ძალები, მთელი მოსახლეობა.

⊙

ექსპრეზიდენტის რაზმები ხონში ვერ შევლენ

როგორც ხონის გამგებელმა გიზო კუხალაშვილმა საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა, მარტვილის საზღვართან განლაგებული ექსპრეზიდენტის რაზმები პოზიციურ ბრძოლებს ეწევიან. საპასუხო ცეცხლს სამთავრობო ფორმირებებიც ხსნიან. გამგებელმა თქვა, რომ ზვიად გამსახურდიას რაზმები ხონში ვერ შევლენ, რადგან რაიონი საიმედოდ არის დაცული.

ამჟამად ხონში იმყოფება ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გია ჭანტურია პარტიის სხვა წევრებთან ერთად. ისინი მოსახლეობის უსაფრთხოებას იცავენ, მონაწილეობენ წესრიგის დამყარებაში. რაიონში შემოღებულია კომენდანტის საათი 23 საათიდან დილის 6 საათამდე. აქვე შექმნილია საგანგებო მდგომარეობის შტაბი, რომლის ხელმძღვანელობა გია ჭანტურიას დაეკისრა.

ექსპრეზიდენტის სამხედრო ფორმირებებმა დიდი ზარალი მიაყენეს რაიონს. ახლა მიმდინარეობს დაზიანებული კომუნიკაციების აღდგენა, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მოსახლეობას მიაწოდონ ელექტროენერგია და წყალი.

ამ დღეებში სკოლებში განახლდება მეცადინეობა.

დაძაბულობა თანდათან იხსნება, მოსახლეობა აქტიურად ეხმარება სამთავრობო სამხედრო ფორმირებებს, შექმნილია სახალხო ლაშქარი, მუშაობს საკოორდინაციო შტაბი, მობილიზებულია დიდი და პატარა.

• • •

5 ოქტომბრის ღამით ექსპრეზიდენტის მომხრე უკანონო სამხედრო ფორმირებებმა სცადეს შეტევის განხორციელება ლანჩხუთზე. მაგრამ მათი მცდელობა აღკვეთეს სამთავრობო ჯარებმა. ბრძოლაში მოწინააღმდეგეს რამდენიმე მებრძოლი დაეღუპა. სამთავრობო ჯარებმა ხელთ იგდეს ერთი ერთეული მძიმე ტექნიკა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი


უნდა ვანუგეშოთ!
უნდა გავათბოთ!

ბონდო დვალიშვილის, გიორგი ცაგარლისა და გიორგი შარაშენიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დალის ცივ ხეობაში ჩარჩენილ ქართველობას საქართველო პატრონობს

5 ოქტომბერი. წინა დღის ჭუბერის უღელტეხილზე განცდილი კოშმარის შემდეგ მზიანი დილა მცირეოდენ ნუგეშს გვაძლევს — იქნებ, აქაც გამოიდარა! კვლავ ქუთაისის აეროპორტში ვართ და მოთმინებით ველოდებით ვერტმფრენს. ის უთუოდ გაფრენილა სვანეთში და სადაცაა დაბრუნდება. ნანახისა და განცდილის შემდეგ ზედმეტად მშვიდი და უმოქმედო გვეჩვენება აეროპორტი. თუმცა ეს საყვედური არ არის — აქ ყველა მოწადინებულია რაღაც სასარგებლო გააკეთოს. უბრალოდ, თავს ზევით ძალა არ არის — ფაქტობრივად, ერთი მოქმედი ვერტმფრენია და ისიც სულ ცაშია გამოკიდებული. სომხეთიდან შეპირებულ ვერტმფრენებს ელიან, თურმე. მაგრამ როდისღა... კვლავ გუშინდელი შემაძრწუნებელი სურათი მიდგება თვალწინ. იქ ხომ ყოველი დაკარგული წუთი მართლაც საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს. არ ვაჭარბებ — ცოტა ხნის შემდეგ საკენის კომენდანტი ბორის მაჩაიძე მეტყვის, რომ იმ გზაზე უკვე 18 ბავშვი დაიღუპა შიმშილისა და სიცივისგან.

ვერტმფრენის გამაყრუებელ გუგუნში კომენდანტი და მე მაინც ვახერხებთ საქმიან საუბარს. მისგან ვიგებ, რომ აფხაზეთის სვანეთში, სოფელ საკენში ამ დროისთვის 50 ათასი ლტოლვილია თავმოყრილი.

ვერტმფრენით ახლა პურთან ერთად მშრალი სუპიც მიგვაქვს. ნაწილი ჭუბერში გადმოიტვირთება, დანარჩენი კი საკენში თავშეფარებულთათვის არის განკუთვნილი.

ჭუბერში ხალხით გადაჭედილ მინდორზე ვეშვებით. კვლავ ნაცნობი სურათი მეორდება. დიდი ძალისხმევაა საჭირო შემოჯარული ხალხის დასარწმუნებლად, რომ ვერტმფრენს არავისი წაყვანა არ შეუძლია — საკენში დარჩენილთ მეტი საფრთხე ელით. პარლამენტის წევრი იური ჭელიძე მოქანდა ვერტმფრენთან, ფერი აცვალა, როცა გაიგო, რომ პროდუქტის მხოლოდ ნაწილით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. — იცით, ხალხო, აქ რა ამბავია?! — სასოწარკვეთილი ამბობს. და იქვე, სიტუაციის მთელი ტრაგიზმის შეგნებით, თვითონვე იწყებს აღელვებულ თანამოძმეთა დაშოშმინებას.

შიშს დიდი თვალები აქვსო, ნათქვამია, და ერთი წამით ალტერნატივის წინაშე ვდგები — დავრჩე ჭუბერში თუ საკენისაკენ გავეშურო. რა იცი, მაინც აფხაზეთია... თუმცა, ამ წამიერი ყოყმანის შემდეგ ყველაფერმა, რაც კიდევ ორი დღის განმავლობაში ვნახე და განვიცადე, დამარწმუნა, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე...

დალის ხეობა, საკენი... ღვთის ამ სამოთხისებურ კუთხეში ისეთი ცოდვის კითხვაა, მხოლოდ ჯოჯოხეთს თუ შეადარებ კაცი. აღარ მინდა აღვწერო ის ტრაგიკული სურათი, ვერტმფრენიდან რომ ვიხილე. ადამიანები უკვე ვეღარ ხედავენ ერთმანეთს. ირგვლივ ენით აუწერელი პანიკაა — ვაითუ, არ შეხვდეთ პური!.. შიათ, საშინლად შიათ....

ძლივს ჩამოვაღწიეთ ვერტმფრენიდან. მეომრები იძულებული არიან, ჰაერში ისროლონ. მაგრამ მხოლოდ აგუგუნებული ვერტმფრენისგან ამოვარდნილი ქარიშხალი ფანტავს კვლავ აქ დარჩენის შიშით გადარეულ ადამიანებს...

ცოტა ხნის შემდეგ მღელვარება აეროპორტზე (აქ ასე უწოდებენ ამ მინდორს) მეტ-ნაკლებად ჩაცხრა და ახლა უკვე ჩვენ აღმოვჩნდით მათი ყურადღების ცენტრში. ვიხსენებ და ვერ გამიხსენებია, ოდესმე თუ ვყოფილვარ ისეთი უმწეო, როგორიც იქ, იმ ადამიანებს შორის. ნირწამხდარი ვისმენ ტკივილიან საყვედურებს:

— რატომ გვექცევიან, შვილო, ასე, რატომ დაგვყარეს და მიგვატოვეს ასე უპატრონოდ, რატომ გაგვწირეს?.. რა დავუშავეთ ან ღმერთს, ან ჩვენს მთავრობას. მოგვეშველეთ შენ შემოგევლეთ, გააგებინე, რა დღეში ვართ. აქამდე მოგვიღწევია და ახლა უნდა ჩააბოძონ აფხაზებს ჩვენი თავი?.. ნუთუ ერთ ვერტმფრენზე მეტი არ გააჩნია საქართველოს?.. — ეს, ძირითადად, ქალები არიან, აცრემლებული, აკანკალებული ქალები. უმრავლესობას ბავშვი უკავია ხელში.

ჩემი ყველა მცდელობა, რამეში დავარწმუნო, უსუსურია. ამიტომ, ვჩუმდები და მხოლოდ ვუსმენ. კითხვაც არ არის საჭირო. ან კი რა უნდა ვკითხო...

მთელ ჩემს პროფესიულ ენთუზიაზმს ცივი წყალი გადაასხა ერთმა განრისხებულმა მეომარმა, რომელმაც შეუბრალებლად მიყვირა:

— რისთვის ჩამოხვედი, გაინტერესებს, რა ხდება? თუ მაგარი გოგო ხარ, წადი და იმ შენს პარლამენტში თქვი რა ხდება! მიხედონ ამ ხალხს!

გულამომჯდარი ისევ ის გამწარებული ქალები მეხვევიან. მერე თვითონაც წყნარდება და ცოტა უცნაური ჟესტით მიბრუნდება — თავის ავტომატს მკიდებს მხარზე. ამას მაინც მიხედეო. ვიცი, კომიკური სანახავი ვარ, მაგრამ ბედს შეგუებული ორი საათი მხარჩამოწყვეტილი დავათრევ ამ საძულველ იარაღს...

ახალგაზრდა მხედრიონელი ქალი, სამი შვილის დედა. სახელად ნანა (საშინელ ხმაურში გაკეთებულ დიქტოფონის ჩანაწერში გვარი ვერ გავარჩიე. მაპატიოს) სასოწარკვეთილი მელაპარაკება:

რეპორტაჟი საკენიდან

— აღარ შეიძლება იმის ატანა, რაც აქ ხდება. მე მეომარი ვარ და არა გინეკოლოგი. აქ, ამ უბედურებაში სამი ქალი მოვამშობიარე. ერთი ბავშვი მოკვდა, ორი გადარჩა. ჩვენ, მხედრიონელები, აქ ჩავიხოცებით, ოღონდ ეს უსუსური ხალხი გაიყვანონ როგორმე.

გარსშემორტყმული გამწარებული ქალები ლაპარაკს არ აცლიან ერთმანეთს. განუზომელი ტანჯვა აწერია სახეზე თითოეულს. ყველას უნდა თავის გასაჭირზე ხმამაღლა თქვას, თუმცა, ეს თქმა კი არა, ხვედრგამწარებული ადამიანების სულისშემძვრელი მოთქმა-გოდებაა. ისევ მიმტყუნა ნერვებმა — ღმერთო, ეს ხალხი სამშვიდობოს გასული მაჩვენე...

— რა ქნას ამ ბალანამ, ნუ ტირი, დედა! — მართლა შვილივით მეფერება მოხუცი ქალი. თავსდატეხილი აურაცხელი უბედურების შემდეგ მაინც აქვს უნარი, სხვა ანუგეშოს...

...მარტო დავდივარ ლტოლვილებს შორის. ირგვლივ უსასოო მოლოდინი გამეფებულა. დაღამებამდე ფეხს არ მოიცვლიან. თუ მოფრინდა, ეგებ, ბედმა გაუღიმოთ და აღწიონ ვერტმფრენში. ამ იმედით საზრდოობენ... როგორც მოუხერხებიათ, ისე მიუძინებიათ პატარები პირდაპირ მიწაზე. შეძლებისდაგვარად თბილად შეფუთულებს, უდრტვინველად სძინავთ ასე პაწიებს, ანგელოზებივით უცოდველებსა და, რაც ყველაზე შემაძრწუნებელია, ასე დაუცველებს... მეტს ვერაფერს ვიტყვი, დანარჩენი მკითხველმა წარმოიდგინოს...

აუტანლად ნელა მიიზლაზნება დრო. მზის გულზე განმარტოებით ვჯდები და ვცდილობ, უმძიმესი შთაბეჭდილებების კალეიდოსკოპი როგორმე ქაღალდზე გადავიტანო. ისევ მოგროვდნენ ჩემს გარშემო ლტოლვილები. გვარებს ვინიშნავ, იქნებ, ახლობლებმა წაიკითხონ და გაიგონ, რომ ცოცხლები არიან. ესენი არიან სოხუმელები ლიანა ქვაჩახია, მარინე ბერძენიშვილი-ეფაძე, როზა ალხაზოვა, მამა-შვილი ჯემალ და მანანა წოწონავები, ნათელა ჩიქოვანი-ბაბლუანი, გულრიფშიდან ნინო ნარსია, ნათელა კუხალაშვილი-მაჭავარიანი, სხვები... ზოგი თავის საკუთარ გასაჭირზე ლაპარაკობს, ზოგიც — საქვეყნოზე. ან რამ გამყო ერთი მეორისაგან. ჩვენი საუბრიდან არის ეს ნაწყვეტები:

შებინდებისას მინდორი თითქმის მთლიანად დაცარიელდა. ვინ მანქანებში გადაინაცვლა, ვინ — ქოხებში. ზოგიც ადგილობრივ მოსახლეობასთან არის თავშეფარებული. მთავარია, რამე გადახურულის ქვეშ იყვნენ, რომ არ დაიწვიმოთ. ჩვენ, მიუსაფარ ჟურნალისტებს, რუსთავის მაშველთა კორპუსის ბიჭები გვიფარებენ. საოცარი ბიჭები...

უსასრულოდ გრძელი და მძიმე ღამის შემდეგ, როგორც იქნა, ინათა. მზიანი დარია, ეს ნიშნავს, რომ მხსნელი ვერტმფრენი მოფრინდება. მის გამოჩენამდე ზოგი ლტოლვილი ახლობლების ტელეფონებს მაწერინებს თბილისში, გააგებინეთ, რომ ცოცხლები ვართო. მოგვიანებით, მას მერე, რაც ყველა ამ ტელეფონზე დავრეკავ, უკვე გონსმოსული, ახლობლებს ვეტყვი: თუნდაც იმისათვის ღირდა ეს მომქანცველი მოგზაურობა, რომ თბილისში ამდენი აფორიაქებული და იმედგადაწურული ოჯახისათვის მიმენიჭებინა სიხარული...

საკენიდან მხოლოდ ყველაზე უმწეონი წამოიყვანეს. ჩვენც მათთან ერთად გამოვემგზავრეთ.

გზად ჭუბერში დავეშვით. ლტოლვილთა ნაწილი იქ დარჩა. მათ ნაცვლად დაჭრილი მეომრები გადმოავზავნეს ქუთაისში. ვერტმფრენის მცირეოდენი შეყოვნებით ვსარგებლობ და პარლამენტარ იური ჭელიძეს ვუმარჯვებ დიქტოფონს.

— ჭუბერში დღეისათვის უკვე 25 ათასი კაცია გადმოსული, — ამბობს ბატონი იური. — გვიჭირს პროდუქტი. ამ გზაზე ვერანაირი ტრანსპორტი ვერ დადის, გარდა სამხიდიანი მანქანებისა. არც საწვავი კმარა. ამიტომაც, ვერ ვეხმარებით უღელტეხილზე ფეხით მომავალ ხალხს. საუბედუროდ, არის დიდი მსხვერპლი, განსაკუთრებით ბავშვებსა და ასაკოვან ხალხში. მთელი ჭუბერის მოსახლეობა დარაზმულია, ცხენებით გადადიან და ეხმარებიან გადმოსვლაში. უამინდობის გამო, პური ძირითადად მანქანებით გადმოგვქონდა უშგულიდან. ახლა ცოტა უკეთესი ვითარებაა — როგორც იქნა ამოაღწია პროდუქტებითა და სხვა საჭირო საქონლით დატვირთულმა თორმეტმა მანქანამ. ყოველდღიურად გვიკავშირდებიან სახელმწიფოს მეთაური, პრემიერ-მინისტრი, უდიდეს დახმარებას გვიწევენ საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაცია და ხსნის არმია.

მისგანვე ვიგებ, რომ სომხეთს დაპირებული ვერტმფრენები გამოუგზავნია. მადლობა ღმერთს, ეტყობა, სანთელ-საკმეველი მართლაც არ კარგავს თავის გზას.

„განგაში ატეხე, შვილო, გემუდარებით!" — ყურში გამუდმებით ჩამესმის შავოსანი ქალბატონის ხმა და მაფორიაქებს. მხოლოდ აგუგუნებული, აზმაურებული და აფუსფუსებული ქუთაისის აეროპორტის დანახვა მამშვიდებს და მინერგავს იმედს, რომ იქ, დალის ცივ ხეობაში ჩარჩენილ ქართველობას საქართველო აუცილებლად უპატრონებს.

მაია ალუდაური.
ქუთაისი — საკენი

ნომერში

⊙ „ქართული ბიზნესი" — ჭაშნიკი. 2
⊙ „აჭარა იყო, არის და იქნება საქართველოს შემადგენელი ნაწილი". 3

აფხაზეთის რეგიონში ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტების გამოვლენისა და საერთაშორისო ტრიბუნალისათვის მასალების მომზადების სახელმწიფო კომისიის შესახებ

1. შეიქმნას აფხაზეთის რეგიონში ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტების გამოვლენისა და საერთაშორისო ტრიბუნალისთვის მასალების მომზადების სახელმწიფო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **ლევან ალექსიძე** — კომისიის თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი პრორექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგე;
2. **ჯემალ ბაბილაშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი;
3. **თედო ნინიძე** — საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი;
4. **ალექსანდრე კავსაძე** — საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე, იურისტი;
5. **ირაკლი ბათიაშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარე;
6. **ავთანდილ იოსელიანი** — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;
7. **ვახტანგ აბაშიძე** — საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციის გენერალური დირექტორი;
8. **ვალერი ვაშაკიძე** — საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი;
9. **აკაკი ბაქრაძე** — საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე;
10. **არჩილ გოგელია** — საქართველოს ტელე-რადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარე;
11. **მარკ რივკინი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;
12. **ზალვა ნათელაშვილი** — საქართველოს პარლამენტის წევრი, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე;
13. **ქართლოს ღარიბაშვილი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;
14. **დავით კუპრეიშვილი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;
15. **გივი ლომინაძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი;
16. **ლია ცინდელიანი** — საქართველოს პარლამენტის წევრი;
17. **ჭიკა ლორთქიფანიძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე;
18. **ლონდერ ცაავა** — სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონული მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
19. **გივი მაღნაძარი** — მწერალი;
20. **გურამ ფანჯიკიძე** — მწერალი;
21. **ნიკო ჭავჭავაძე** — საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
22. **ქეთევან დოლიძე** — კინორეჟისორი;
23. **დავით კობახიძე** — კომისიის მდივანი, თსუ საერთაშორისო სამართლის კათედრის თანამშრომელი;
24. **ავთანდილ დემეტრაშვილი** — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის იურიდიული განყოფილების გამგე, თსუ კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი;
25. **ლორიკ მარშანია** — აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

2. დაევალოს კომისიას უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს დებულება და წარმოადგინოს დასამტკიცებლად.

3. კომისიასთან შეიქმნას ექსპერტების ჯგუფი საქართველოს და უცხოეთის ცნობილი სპეციალისტების მონაწილეობით.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს გამოყოს კომისიის სამუშაო ადგილი და უზრუნველყოს კომისია სათანადო მატერიალური და ტექნიკური საშუალებებით.

5. კომისიის შექმნის შესახებ ეცნობოს გაეროს, სხვა სახელმწიფოთაშორის და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისის კომენდატურა
ბრძანება № 5

1993 წლის 3 ოქტომბერი

ქ. თბილისის პურის საწარმოების დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ ხანს გახშირდა თავდასხმები თბილისის პურის საწარმოებზე პროდუქციის დატაცების მიზნით, პურის საწარმოები, როგორც მოსახლეობის სიცოცხლის უზრუნველმყოფი უმნიშვნელოვანესი ობიექტები, საჭიროებენ დაცვის ყოველმხრივ გაძლიერებას.

ამ მიზნით **ვბრძანებ:**

1. ქ. თბილისის პურის საწარმოები გადაყვანილ იქნენ გაძლიერებულ გასამხედროებულ დაცვაზე. დაცვას მიეცეს მითითება პურის საწარმოებზე და მის დაცვაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში გახსნას ცეცხლი.

2. თბილისის პოლიციის სამმართველომ, პოლიციის რაიგანყოფილებებმა და ქვეგანყოფილებებმა, ქ. თბილისის მოქალაქეთა კავშირის მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინონ სამხედრო კომენდატურას აღნიშნული ბრძანების განხორციელების მიზნით.

ქ. თბილისის კომენდანტი **ზ. ჩაჩუა.**

დენის გამორთვა გრიგალის ბრალია

6 ოქტომბერს შუადღისას საქართველოში გამოირთო დენი. ენერგეტიკის დეპარტამენტის „საქენერგოს" ხელმძღვანელობისა და კოლექტივის ოპერატიული მოქმედების წყალობით ეს ნახევარ საათზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა. შეწყდა თბილისის მეტროპოლიტენის მუშაობა. მეტროში მყოფი ათიათასობით მოქალაქე იძულებული გახდა ფეხით გაევლო ჩაბნელებული გვირაბები სადგურებამდე. მეტრო მხოლოდ 14 საათისათვის ამუშავდა.

მომხდარის მიზეზებზე საქინფორმის კორესპონდენტს ესაუბრა ენერგეტიკის დეპარტამენტის „საქენერგოს" უფროსი იური ჭედია:

— ბოლო ორი დღეა დასავლეთ საქართველოს რაიონებში ბობოქრობს გრიგალისებური ქარი. ამის გამო ზესტაფონ-ქუთაისის მონაკვეთზე წაიქცა ელექტროგადამცემი ხაზების სამი ანძა, ქუთაისში მწყობრიდან გამოვიდა ქვესადგურების გამანაწილებელი მოწყობილობანი, ქუთაის-ზესტაფონის მონაკვეთზე დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზი — 220. შექმნილ ავარიულ სიტუაციაში ავტომატურად გამოირთო ენგურჰესისა და თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სიმძლავრეები. მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ აზერბაიჯანმა ელექტროენერგიის მოწოდება შეუწყვიტა საქართველოს იმ მოტივით, რომ არ შეუძლია ექსტრემალურ პირობებში მუშაობა.

— 12 საათისა და 30 წუთისათვის, — განაგრძო მან, — რესპუბლიკის ენერგოსისტემა მხოლოდ ნაწილობრივ ამუშავდა. ელექტროენერგია მიიღო თბილისის მეტროპოლიტენმა, დედაქალაქმა, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთმა საწარმომ. ამჟამად მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები გრიგალისაგან დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზების ყველა მონაკვეთზე.

დანიშვნა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით **ბადრი მეზურნიშვილი** დაინიშნა ვანის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
განკარგულება
შეიქმნა დროებითი სამთო-სამაშველო სამსახურები

1. **აფხაზეთიდან** მრავალრიცხოვან იძულებით გადაადგილებულ პირთა საკენ-ჭუბერის უღელტეხილის ტრასაზე უსაფრთხოდ გადაყვანის, კვებისა და სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას დროებითი სამთო-სამაშველო სამსახური აფხაზეთის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ვაშაკიძის ხელმძღვანელობით.

2. დაევალოს აღნიშნულ სამსახურს საკენ-ჭუბერის ტრასაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო გადაყვანისათვის:

— შექმნას საბაზისო ბანაკები, უზრუნველყოს ისინი საკვებითა და სამედიცინო მომსახურებით;

— დააკომპლექტოს ლტოლვილთა გამცილებელი ჯგუფები მაშველი სამსახურისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით. აღნიშნულ ტრასაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებასთან დაკავშირებული საკითხების გამო დროებითი სამთო-სამაშველო სამსახურის მითითებანი ყველასათვის სავალდებულოა;

3. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტრომ, კავშირის გამგეობამ, პურპროდუქტების კორპორაციამ იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურების პერიოდში ყოველდღიურად შეიტანონ სოფელ ჭუბერში — 30 ტონა, ხოლო სოფელ საკენში 10 ტონა ფქვილი, საბაზისო ბანაკებში — საკმარისი რაოდენობის პური და სურსათი.

საბაზისო ბანაკების სამედიცინო მომსახურება დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

4. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ დაუყოვნებლივ უზრუნველყოს დაუბრკოლებელი რადიოკავშირის დამყარება საკენს, საკენ-ჭუბერის უღელტეხილსა და ჭუბერს შორის;

5. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მთავრობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად უზრუნველყოს საკენ-ჭუბერის მთელ ტრასასა და ვერტმფრენებით დასაჯდომ მოედნებზე წესრიგის დამყარება, ავტოტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობა.

6. საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტმა და სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა ყოველდღიურად უზრუნველყონ საკმარისი რაოდენობის ყველგანმავალი ავტომობილების გამოყოფა საკენ-ჭუბერის ტრასაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოსაყვანად.

7. საქართველოს რესპუბლიკის საავიაციო ტრანსპორტის დეპარტამენტმა ყოველდღიურად გამოყოს 6 ვერტმფრენი საკენ-ჭუბერის ტრასაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა, პირველ რიგში, ბავშვების, მოხუცებისა და ქალების გამოსაყვანად. ამასთან, სოფლებში ჭუბერსა და საკენში გამოიყოს თითო წარმომადგენელი ფრენის ორგანიზაციის უზრუნველყოფის მიზნით.

8. საქართველოს რესპუბლიკის კონცერნმა „საქნავთობპროდუქტმა" ყოველდღიურად შეზიდოს სოფელ ჭუბერში 7 ტონა დიზელის საწვავი და 5 ტონა ბენზინი.

9. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხოდ გადაყვანის, გზაზე კვებისა და სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის, დანიშნულების ადგილზე სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფის ღონისძიებათა ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, შექმნილმა დროებითმა საგანგებო შტაბმა ოპერატიულად გადაწყვიტოს სამთო-სამაშველო სამსახურის მიერ დაყენებული საკითხები, პირველ ყოვლისა, ჰუმანიტარული და სხვა ხაზით შემოტანილი საკვები პროდუქტების ჭუბერის უღელტეხილზე გადაზიდვის საკითხები.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე
ზ. კერვალიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა

ქართული ბიზნესი

დღეიდან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სიცოცხლეს იწყებს ყოველთვიური გვერდი „ქართული ბიზნესი“, რომლის სპონსორია საქართველოს მეწარმეთა და მოიჯარეთა კავშირი. რა დასამალია, საქართველოში ვერა და ვერ მოიკიდა ფეხი კერძო მეწარმეობამ, წესიერმა ბიზნესმა, რაც ამუხრუჭებს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას. რედაქციამ გადაწყვიტა მხარში დაუდგეს ქართველ მეწარმეებსა და ბიზნესმენებს, ფართოდ გააშუქოს მათი საქმიანობა, გულისტკივილი და პრობლემები, რასაც სავარაუდოდ თვითონვე არ მოაკლებენ აქტიურობას. გვინდა დავიჯეროთ, რომ ეს სტიმულს მისცემს ქართული ბიზნესის განვითარებას, ჩვენი წაქცეული თუ დაქცეული ეკონომიკის გამოცოცხლებას.

აქტუალური ინტერვიუ

ეს საქმე დღეს უპატრონოა

ბონდო ზარნაძე. მისი ინიციატივით 1989 წელს დაფუძნდა საქართველოს მეწარმეთა და მოიჯარეთა კავშირი, პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოში მეწარმეობის განვითარებისათვის ხელშეწყობა, მეწარმეთა და ბიზნესმენთა კანონიერი ინტერესების დაცვა. 1987 წლიდან სათავეში უდგას სამეცნიერო-საკონსულტაციო ფირმა „ეკონომიკას“, 1992 წლიდან — გამომცემლობა „ეკონომიკა და სამართალს“, თბილისის სპეციალიზებულ საბანკო ინსტიტუტს. აღნიშნულმა გამომცემლობამ მისი რედაქტორობით ქართულ ენაზე პირველად გამოსცა სახელმძღვანელოები: „ეკონომიკსი“ (ავტორები — ნობელის პრემიის ლაურეატები პ. სამუელსონი და ნ. ნორდჰაუზი), „სასაქონლო ბირჟა“; სულ მალე ქართულად გამოვა ამერიკელი ავტორების მიერ დაწერილი სახელმძღვანელო — „კომერციული ბანკები“. ბ. ზარნაძე არის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დოცენტი, გამოქვეყნებული აქვს 50 სამეცნიერო შრომა, მათ შორის ორი მონოგრაფია ინვესტიციების პრობლემებზე. მიმდინარე წლის დასაწყისიდან იგი არჩეულია სრულიად საქართველოს მეწარმეთა პარტიის თავმჯდომარედ.

— ბატონო ბონდო, როგორ შეაფასებდით მეწარმეთა პოზიციებიდან, საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას?

— ჩვენი ქვეყანა კვლავ განსაცდელის წინაშეა, ამის მიზეზი პოლიტიკური სიბრძნის ნაკლებობაა, სიბრძნისა, რომელიც ასე სჭირდება ჩვენს ერს. ერი, რაც უფრო პატარაა, მით უფრო დიდი პოლიტიკური კულტურის მატარებელი, მით უფრო დიდი დიპლომატი უნდა იყოს. პატარა ერის მიერ პოლიტიკის სფეროში დაშვებულ სულ მცირე შეცდომასაც კი მისთვის საბედისწერო შედეგების მოტანა შეუძლია, რისგანაც დიდი ერები ფაქტობრივად დაზღვეულები არიან.

მე მინდა ხაზი გავუსვა მთლიანად ერის და არა მის ცალკეულ წარმომადგენელთა პოლიტიკური სიბრძნის საჭიროებას. საქმე ისაა, რომ ვერც ერთი გენიოსი პოლიტიკოსი მთელი ერის თანადგომის გარეშე ვერაფერს გააწყობს, რისი მოწმენიც უკვე ვართ. ჩვენ, ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის დაუოკებელი სურვილით თავბრუდახვეულებმა, ვერ დავინახეთ მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში მიმდინარე ინტეგრაციის, კონსოლიდაციის პროცესები. ვერ მივხვდით იმას, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია მსოფლიოში წარმოების დანაწილებისა და სპეციალიზაციის ასეთი მაღალი დონის პირობებში ხელოვნური ფენომენი კი არა, ობიექტური აუცილებლობაა, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს დღეს არსებობა შეუძლია სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიკური ინტეგრაციის მეშვეობით.

ჩვენ კი რა გავაკეთეთ? პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ დავადექით ეკონომიკური თვითიზოლაციის გზას, დავივიწყეთ, რომ ხელგაშვერილი ერი პოლიტიკურად დამოუკიდებელი არასოდეს არ იქნება, რომ ეკონომიკური სიღატაკე მას რკინისებური აუცილებლობით მიიყვანს ინტეგრაციამდე.

ჩემი და საღად მოაზროვნე ქართველ მეწარმეთა პოზიცია ასეთია: ჩვენ [illegible], დიპლომატიით უნდა გვეჯობნა იმპერიული ძალებისთვის, გარკვეული ვადით, გამოსვლის უფლებით უნდა შევსულიყავით ისედაც დაშლისათვის განწირულ „ესენგეში“; ძირფესვიანად მოშლილი ეკონომიკის აღდგენისათვის გამოგვეყენებინა რუსეთის აურაცხელი რესურსები, თავიდან აგვეცილებინა ოსეთის, აფხაზეთის კონფლიქტები, შეგვექმნა იქ საჭირო სიტუაცია და მყარი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის, ახალი პარტნიორების მონახვის შემდეგ, ასევე დიპლომატიურად, ეკონომიკური კავშირების შენარჩუნებისა და „კარების გამოუჯახუნებლად“ გამოვსულიყავით მისი შემადგენლობიდან. არ ვიცი, შეიძლება ვცდები, მაგრამ ამ ქვეყნად შეუმცდარი ხომ არავინ არის.

— კეთილი, მაგრამ ითვალისწინებთ თუ არა, რომ ეს საკმაოდ არაპოპულარული მოსაზრებაა და მას ბევრი სულ სხვაგვარ ინტერპრეტაციას მისცემს?

— დიახ, კარგად ვიცი, რომ ეს არაპოპულარული მოსაზრებაა, მაგრამ რა, ამის გამო მხოლოდ და მხოლოდ პოპულარულ პრობლემებზე ვილაპარაკოთ? ეს ხომ წმინდა წყლის პოპულიზმია? და ვის სჭირდება ეს? ეს ერთი. მეორე, რატომ გვინდა წავართვათ ადამიანებს საკუთარი აზრის თქმის უფლება? ხალხი ბრძენია, ის გაარჩევს რა არის სწორი და რა არასწორი, რა სჭირდება მას და რა არ სჭირდება. ბოლოს და ბოლოს ხალხის აზრის გაგების

უპირველესი საშუალება რეფერენდუმია. მესამე, ჩვენ ვლაპარაკობთ არა უბრალოდ „ესენგეში“ შესვლაზე, არამედ მასში შესვლაზე, რათა გამოვიდეთ იქიდან ძლიერნი. ვინც ამ მოსაზრებას არ ეთანხმება, დაე მან ჩააწყნაროს აფხაზეთი, ოსეთი, გამოკვებოს მილიონობით დამშეული ადამიანი, აღადგინოს ჩვენი ძირფესვიანად დანგრეული ეკონომიკა, სოციალური სფერო.

— როგორ ფიქრობთ, მაინც რა და ვინ უშლის ხელს საქართველოში მეწარმეობის, ბიზნესის განვითარებას?

— მეწარმეობის დამღუპველიც და ამშენებელიც სახელმწიფოა, მისი შესაბამისი სტრუქტურებით. სწორედ სახელმწიფომ უნდა შექმნას მეწარმეობის ჩასახვისა და განვითარებისათვის საჭირო ყველა პოლიტიკური და ეკონომიკური პირობა. ამის მიუხედავად სწორედ ყველა დონის სახელმწიფოებრივი სტრუქტურები აფერხებენ მეწარმეობის, ბიზნესის განვითარების პროცესებს.

კონკრეტული ფაქტები გნებავთ? კი ბატონო, ვერა და ვერ შეიქმნა სამეწარმეო საქმიანობის გაშლისათვის საჭირო სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, სახელმწიფო სტრუქტურების და მოხელეთა მიერ უხეშად ირღვევა უკვე მიღებული მეწარმეობის მარეგულირებელი კანონები. ვერასგზით ვერ დაწყებულა პრივატიზების ფართომასშტაბიანი პროცესი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ეხება მსხვილ საწარმოთა აქციონირებას. ფაქტობრივად აიკრძალა იჯარა, რომელიც საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისას მეურნეობრიობის შუალედური ფორმის როლს ასრულებს. რესპუბლიკაში დღეისათვის მოქმედი საგადასახადო სისტემა სტიმულირების მაგივრად ამუხრუჭებს მეწარმეობას და მთლიანად საქონელწარმოებას (მეტია წარმოება, მეტ თანხას იხდის მწარმოებელი მოგებიდან); სამინისტროები და უწყებები აშკარად არ აპირებენ პრივატიზების დაწყებას, პირიქით, ისინი პირდაპირ აცხადებენ, რომ საჭიროა მეურნეობრიობის დირექტიული მეთოდებით მართვაზე დაბრუნება. დღეს ზუსტად არავინ იცის როგორ და ვისზე განაწილდა თურქეთის მიერ საქართველოს მეწარმეებისათვის გამოყოფილი 50 მილიონი დოლარის სავალუტო სესხი. ეს ჩამონათვალი კიდევ შეიძლება გაგრძელდეს.

მეწარმეთა ფართო ფენების აღშფოთებას იწვევს ე. წ. „ნომენკლატურული მეწარმეობის“ წარმოშობა, რომელიც ჩვენთან უპირატესად საპარლამენტო ბიზნესის სახითაა წარმოდგენილი. პარლამენტში, მისი მომსახურების სტრუქტურებში, მინისტრთა კაბინეტში, სამინისტროებში სულ უფრო იზრდება მაღალ პოსტებზე მოსულ „მეწარმეთა“ რიცხვი. მათ უმრავლესობას მე კარგად ვიცნობ. და, აი, ამ ხალხს, სახელმწიფო სტრუქტურებში პირადი მიზნებისათვის მისულთ, დავალებული აქვთ „ზრუნვა“ მეწარმეზე, ისინი მოხერხებულად იყენებენ თანამდებობებს საკუთარი ბიზნესისათვის, ფირმებისათვის, რომლებსაც ისინი ან „მათი ხალხი“ უდგანან სათავეში. მათი ფირმები შეუფერხებლად იღებენ ძნელადმისაღებ მილიარდიან კრედიტებს (ხშირ შემთხვევაში კრედიტებს ნაყიდი ფულით), ოფისებს ქალაქის საუკეთესო ადგილებში, ისინი ახდენენ სხვადასხვა ობიექტების თითქმის უფასო პრივატიზებას. ყოველივე ზემოაღნიშნულმა, საქართველოში წარმოშვა „პრივილეგიური“ და „არაპრივილეგიური“ ბიზნესი. მე მინდა ერთმნიშვნელოვნად განვაცხადო, რომ, თუ სიტუაცია ამ მიმართულებებით არ შეიცვლება, მაშინ საქართველოს მეწარმეთა პარტია ამ „არაპრივილეგიურ“ ბიზნესთან ერთად იტყვის თავის სათქმელს.

— თქვენ, პროფესიით მეცნიერი-ეკონომისტი, წლების განმავლობაში მუშაობთ ეკონომიკური კონსულტირების სფეროში. რაში ხედავთ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავალს?

— ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა კომპლექსური პრობლემაა. ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტაბილურობა ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების გადამწყვეტი პირობაა. საქმე ისაა, რომ ჩვენი ეკონომიკა დღეს ფეხზე ვერ დადგება უცხოური ბიზნესის გარეშე, ხოლო მათ არასტაბილურ და მითუმეტეს საომარ სიტუაციაში მყოფ ქვეყანაში ვერასგზით ვერ მოიყვან. მაშასადამე, პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევამდე კრიზისისგან თავის დაღწევის ჩვენს საკუთარ, შიგა შესაძლებლობებს უნდა დავეყრდნოთ. არ მოდის უცხოელი ბიზნესმენი, მაშინ ჩვენსას ვენდოთ, მაშინ სხვადასხვა ქვეყნებში მიმოფანტული ქართველი ბიზნესმენები ჩამოვიყვანოთ და პრიორიტეტიც მივცეთ. მათ ხომ იმიტომ დატოვეს საქართველო, რომ არა თუ პრიორიტეტები, ელემენტარული პირობებიც არ ჰქონდათ.

გულუბრყვილობად მიმაჩნია ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის კონცეფციების შემუშავების თვითმიზნად ქცევა და ამ საფუძველზე „დიდი ეკონომისტის“ ყალბი ავტორიტეტის მოპოვება. მე მინდა მათ ვუთხრა: ბატონებო, ნუ გამოიგონებთ ველოსიპედს, იგი დიდი ხანია გამოგონებულია, მასზე ზის მთელი ცივილიზებული კაცობრიობა და რამდენიმე ასეული წელია წარმატებით იყენებს მას საბაზრო ეკონომიკის ურთულეს ლაბირინთებში სასიარულოდ. კრიზისიდან თავის დაღწევაზე ჩვენ ვერაფერს დავწერთ ისეთს, რომელიც უკვე დაწერილი და მრავალგზის გამოცდილი არ იყოს.

როგორ დააღწიეს თავი კრიზისს ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყნებმა — ჩინეთმა, უნგრეთმა, პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ და თვით ვიეტნამმაც კი? განა არ არსებობს ეს გამოცდილება? ვინ გვიშლის მის სკრუპულოზურ შესწავლას და ჩვენი პირობებისადმი მორგებას?

ავიღოთ, მაგალითად, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის, როგორც კრიზისიდან თავის დახსნის, ერთ-ერთი მრავალგზის შემოწმებული მეთოდი. პოლიტიკური სტაბილურობის პირველი ნიშნებისთანავე მსოფლიოში აღიარებული ცივილიზებული ნორმების მიხედვით საქართველოში უნდა დავიწყოთ მუშაობა თავისუფალი ეკონომიკური ზონის (ან ზონების) შესაქმნელად. ამ მიმართულებით ჩვენთვის ყველაზე მისაღები ფორმა იქნება კონცესიების (ფაბრიკა-ქარხნების გარკვეული ვადით გადაცემის) პრინციპებზე დაფუძნებული თავისუფალი ეკონომიკური ზონები. ცნობილია, „ნეპის“ დროს კონცესიები როგორი წარმატებით იქნა გამოყენებული სამოქალაქო ომისაგან გაჩანაგებული რუსეთის ეკონომიკის აღდგენისათვის.

არის კიდევ ერთი კომერციული რეზერვი, გარდაბნის და რუსთავის რეგიონებში მოკვლეულია ნავთობის უმდიდრესი საბადოები, რომელთა დამუშავების თავი არა გვაქვს. თუ ამ საბადოებს კონცესიით გადავცემთ (10-12 წლის ვადით) უცხოეთის ნავთობმომპოვებელ ფირმებს, მათ დიდი სავალუტო შემოსავლების მოცემა შეუძლიათ, იგივე შეიძლება ითქვას მადნეულის ოქროს შემცველი სპილენძის კონცენტრაციიდან ოქროს გამომყოფი საწარმოს კონცესიით მშენებლობის შესახებ.

— როგორ უდგანან გვერდში ქართველი მეწარმეები და ბიზნესმენები ქვეყანას მისთვის ამ ძნელბედობის ჟამს?

— მეოთხე წელია საქართველოში არ ყოფილა განსაცდელი, რომ ჩვენს მეწარმეებს მათზე თავიანთი სიტყვა არ ეთქვათ, არ გაეწიოთ თანადგომა ჩვენი ბიჭებისათვის, ომში დაღუპულთა ოჯახებისთვის. შეძენილია და გვარდიას გადაეცა რადიოსადგური, ქვეყნის საჭიროებისათვის გადაირიცხა მილიონობით თანხები, მათ შორის ვალუტაც. სისხლი გაიღო მეწარმეთა კავშირის აპარატის თითქმის ყველა მუშაკმა, კავშირის წევრი ორგანიზაციების უმრავლესობამ, რომლებიც თბილისში არიან განლაგებული.

ამასთან, მე აბსოლუტურად გაუმართლებლად მიმაჩნია მეწარმის მიერ ამ თანადგომის გამოყენება საკუთარი პერსონისა და ფირმის აფიშირებისათვის, შეგროვილი დოლარების რაოდენობის შესახებ ტელევიზიით საქვეყნოდ გამოცხადება. ჩვენი მოწინააღმდეგეც აკეთებს იგივეს, მაგრამ ამის შესახებ ქვეყნიერებას არ აგებინებს. ბატონებო, სიკეთე უნდა ვაკეთოთ ჩუმად და ისე მოვიხადოთ ვალი ღმერთისა და სამშობლოს წინაშე.

— ბატონო ბონდო, რა მიზნები აქვს და რისთვის შეიქმნა თქვენი პარტია?

— სრულიად საქართველოს მეწარმეთა პარტია დაფუძნდა მიმდინარე წლის დასაწყისში. ვფიქრობ, მასზე არ შეიძლება ითქვას, რომ იგი კიდევ ერთი მორიგი პარტიაა ჩვენს ჭრელ პოლიტიკურ ცხოვრებაში, დრომ თავისთავად მოიტანა მისი შექმნის აუცილებლობა. საქართველოს სწორედ დღეს სჭირდება მეწარმეობის ინტერესების გამომხატველი და დამცველი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება ზემოქმედება მოახდინოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, რათა ბიზნესი განვითარდეს საჭირო მიმართულებისათვის, იგი არ იყოს მაფიოზური, ხელისუფლებასთან პრივილეგიებისათვის შეკრული, სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებული, რათა ქართულ ბიზნესს არეგულირებდეს მხოლოდ ცივილიზებული ნორმების საფუძველზე შემუშავებული კანონთა სისტემა.

ჩვენი ერთადერთი მიზანია ვაშენოთ ჭეშმარიტ სამეწარმეო თავისუფლებაზე დაფუძნებული პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად აღორძინებული, ძლიერი, თავისუფალი და დემოკრატიული საქართველო.

— საინტერესოა, რას ელით და რა სურთ თქვენ ჩვენი გაზეთის ამ გვერდისგან, რომელსაც „ქართული ბიზნესი“ დაერქვა?

— ეს გვერდი სჭირდება ქართულ ბიზნესს, ქართველ მეწარმეებს. თქვენმა გაზეთმა ხელი გაუწოდა ჩვენში ახლადფეხადგმულ მეწარმეობას, რითაც ჩვენთან ერთად დადგა საქართველოში სამეწარმეო მოძრაობის სათავეებთან. ჩვენთან ერთად გაიზიარა მისი ტკივილები და პრობლემები, გაკეთდა ორმხრივ სასარგებლო საქმე, რაც საბოლოოდ ერის კეთილდღეობას სასიკეთოდ უნდა წაადგეს.

საქართველოს მეწარმეებსა და ბიზნესმენებს!

კაცობრიობის განვითარების ისტორიულმა კანონზომიერებამ მსოფლიოს უდიდესი და უვერაგესი იმპერიის ნგრევის პროცესის თვითმხილველნი და მონაწილენი გაგვხადა. ჩვენდა საუბედუროდ, ვერცერთმა ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიამ თუ ძალამ ამ უბოროტესი მონსტრის ნგრევის პერსპექტივები დროზე ვერ გათვალა და ვერ გაითვალისწინა. შედეგად მივიღეთ ყველა შესაძლო ვარიანტს შორის ყველაზე უარესი — ტერიტორიულად და სულიერად გახლეჩილი საქართველო, ორი დაპირისპირებული ბანაკით, უკიდურესობამდე გაჩანაგებული ეკონომიკით, სულიერად და ხორციელად დამშეული ხალხით.

მაგრამ საბედნიეროდ, ყველა ქვეყნისა და ხალხის ისტორიაში ნგრევის, ძალადობის და დაცემის პერიოდს ენაცვლებოდა აღმშენებლობის, სიყვარულის და აღორძინების, აყვავების პერიოდი. ეჭვსგარეშეა, ჩვენთანაც ასე იქნება: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ — ეს ბრძნული აზრი ხომ ჩვენს ხალხში იშვა.

ქვეყნის დაღმა დაქანების პროცესის შეჩერების, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის, შემდგომში კი აღორძინების მიზნებს ემსახურება სრულიად საქართველოს მეწარმეთა პარტია, რომელიც ჩამოყალიბდა და რეგისტრაციაში გატარდა მიმდინარე წლის 12 მარტს. მისი მიზანია თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის ყოველმხრივ გაშლა-გაფართოება, ეკონომიკის მოღონიერება, აღორძინებული საქართველოს მშენებლობა.

დღევანდელ ეტაპზე პარტიას გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია:

პოლიტიკურ სფეროში — ქვეყნისა და ერის ტერიტორიული და სულიერი გაერთიანების, ცალკეულ პოლიტიკურ ძალებს შორის ურთიერთდიალოგის და მორიგების, შეთანხმების მიღწევა, რომლის დევიზიც იქნება: „სამშობლო, უპირველეს ყოვლისა“!

ეკონომიკურ სფეროში — ახლად შექმნილ კერძო საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაციის არსებული წესის გამარტივება, საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, მეწარმეობისთვის საჭირო საფინანსო-საკრედიტო ბაზის შექმნა.

მოგმართავთ ყველას, ვინც დაინტერესებულია საქართველოში თავისუფალი მეწარმეობის აღორძინება-განვითარებით და ქვეყნის ეკონომიკური კატასტროფისგან ხსნით, საქართველოს მეწარმეთა პარტიის საქმიანობის გაშლითა და გაფართოებით, მოგვაწოდოთ თქვენი წინადადებები და მოსაზრებანი.

თუ თქვენ დაინტერესდებით ჩვენი პარტიის მიზნებითა და ამოცანებით, და ადგილებზე გექნებათ თანამოაზრეთა მხარდაჭერა, შეგეძლებათ ჩამოაყალიბოთ საქართველოს მეწარმეთა პარტიის რაიონული ორგანიზაცია, რომლის ორგანიზაციულად გაფორმებაში ჩვენ აქტიურად დაგეხმარებით. გახსოვდეთ, ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს (კანონის ფარგლებში) ჩვენი პარტიის წევრთა ინტერესების დასაცავად.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის (ყოფილი კლარა ცეტკინის) ქუჩა № 128. საკონტაქტო ტელეფონები: 95-92-57, 95-86-60.

სრულიად საქართველოს მეწარმეთა პარტიის მთავარი კომიტეტი.

მეწარმის ლექსიკონი

აუდიტი. საწარმოს საბუღალტრო საქმიანობის შემოწმება (რევიზია) კვალიფიციური სპეციალისტების (აუდიტორების) მიერ, რათა დადგინდეს მიღებულ საბუღალტრო წესებთან და სტანდარტებთან მისი შესაბამისობა.

აქცეპტი. მინაწერი ანგარიშზე, თამასუქზე, რომლითაც აქცეპტანტი ამოწმებს საგადამხდელო დოკუმენტების დროულ მიღებას და თანხმდება შესრულოს ვალდებულება, გაუნაღდოს დოკუმენტი ან მისცეს ჩანაღდების გარანტია.

აქციზი. არაპირდაპირი გადასახადის სახე, უპირატესად ფართო მოხმარების საქონელზე (ჩაი, თამბაქოს ნაწარმი, ალკოჰოლიანი სასმელი და სხვა), აგრეთვე მომსახურებაზე. ის გადასახადი შედის საქონლის ფასებში ან მომსახურების ტარიფებში, რაც იწვევს ფასების ზრდას. აქციზი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

პრივილეგირებული აქციები გამოწვევის უფლებით. იგი უფლებას აძლევს კორპორაციას — ემიტენტს გამოისყიდოს ისინი მფლობელისაგან (წინასწარი შეთანხმების შემდეგ).

პრივილეგირებული აქციები მონაწილეობის უფლებით. ეს მის მფლობელს უფლებას აძლევს ჩვეულებრივის (ჩადებულ კაპიტალზე დარიცხული მყარი პროცენტის) ზევით მიიღოს დივიდენდი, მონაწილეობდეს მმართველობით საქმიანობაში, რასაც პრივილეგირებული აქციების მფლობელები ჩვეულებრივ მოკლებული არიან.

უბრალო აქციები. ფასიანი ქაღალდის ერთ-ერთი სახეა. იგი იძლევა მოგების მიღების უფლებას, რომლის ოდენობა დამოკიდებულია სააქციო საზოგადოების მუშაობის შედეგებზე.

აქციები გადაფასების უფლებით. ემიტენტს უფლებას აძლევს აქციის მფლობელს მოსთხოვოს დამატებითი შენატანი.

კარიკატურისტის თვალით


თანამედროვე ბიზნესი
(სოხუმისათვის ბრძოლის დღეებში)
„ГУМАНИТАРНАЯ“ помощь для АРДЗИНБЫ!

„ჰუმანიტარული“ დახმარება — არძინბასათვის.
მხატვარი რომან კარკუსაშვილი.

ფირმა «ეკობიზნესი»

დაგეხმარებათ ზედმეტი მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებების, ნედლეულის, მასალების და სხვა რესურსების რეალიზაციაში, აგრეთვე მათ შეძენაში.

შეგვიძლია მოგამარაგოთ ან გაგისაღოთ საფურსათო და არასაფურსათო საქონელი.

დაგეხმარებით არა მარტო რესურსების ცალკეული პარტიების შეძენასა და რეალიზაციაში, შეგიქმნით მომარაგება-გასაღების საიმედო სისტემასაც.

ფირმა თავისი მრავალმხრივი კავშირებით და გასაღების ფართო ქსელით უზრუნველყოფს თქვენს საიმედო, გარანტირებულ მომსახურებას.

მისამართი:
თბილისი, თოიძის ქ. №30.
ტელეფონი: 96-84-18.

საქართველოს მეწარმეთა და მოიჯარეთა კავშირის თხოვნით გვერდის ჰონორარი ჩაირიცხება აფხაზეთიდან ლტოლვილთა დახმარების ფონდში.

არ გათეთრდების ყორანი...

ანუ პასუხი „თბილისში“ გამოქვეყნებულ ერთ ინტერვიუზე

ახლო წარსულში, კომუნისტურ-საბჭოური ნომენკლატურის ერთ-ერთი ნიშანთვისება სხვა მრავალ უმსგავსობასთან ერთად სახელმწიფო თუ სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში „საქმის ჩაწყობის“ წესად დამკვიდრება გახლდათ. ამის რეციდივები, საუბედუროდ, ინერციით დღესაც გრძელდება. ამის მაგალითია რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობათა კომიტეტის საზღვარგარეთული ინვესტიციებისა და კრედიტების სამმართველოს მიერ თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოს კერძო მეწარმეობის განვითარებისთვის მიზნობრივად გამოყოფილი 50 მილიონი დოლარის „განაწილების წესი“. ამ „წესის“ შესახებ დასახელებული სამმართველოს უფროსი ბატონი ნიკო კიკაბიძე გაზეთ „თბილისის“ 7 სექტემბრის ნომერში დასტამბულ ინტერვიუში („წინდახედულად წარვმართოთ ინვესტირება“) საქართველოს მეწარმეთა და მოიჯარეთა კავშირის მიერ დასმულ კონკრეტულ საკითხზე — როგორი წესით და კონკრეტულად ვისზე განაწილდა ზემოთ მოხსენიებული მიზნობრივი კრედიტი — ასეთ „განმარტებას“ იძლევა: „ახლა უშუალოდ თურქული კრედიტის შესახებ მოვიდა თუ არა ხელშეკრულება, ჩვენ ჩავატარეთ თათბირი, რომელშიც დარგობრივი სამინისტროების და მსხვილი კომერციული სტრუქტურების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ და გავაცანით ხელშეკრულების პირობები“.

აქ იბადება უმარტივესი კითხვა: თურქეთის რესპუბლიკამ კრედიტი მოგვცა რესპუბლიკაში კერძო მეწარმეობის, ბიზნესის განსავითარებლად თუ იგი გამოუყო საქართველოს სახელმწიფო მოხელეებს მათი შეხედულებით გასანაწილებლად?

ჩვენ, როგორც თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის განცხადებიდან გვახსოვს, 50 მილიონი დოლარი გამოეყო საქართველოს კერძო მეწარმეობის განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში კი, მოვიდა თუ არა ხელშეკრულება თურქეთიდან, დასახელებული სამმართველო მოვალე იყო მოემზადებინა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების პროექტი სათანადო საკონკურსო კომისიის შექმნისა (რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ საზოგადოებრივი და სახელმწიფო სტრუქტურები) და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ. მთავრობის მიერ საკონკურსო კომისიისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შემდეგ ის უნდა გამოქვეყნებულიყო პრესაში, გადაცემულიყო ტელევიზიით. ასეთი და მხოლოდ ასეთი წესით კრედიტის განაწილება გამორიცხავდა „საქმის ჩაწყობათა“ ქმედებას. წაადგებოდა ქვეყანას, ხალხს და მეწარმეობის განვითარებას.

რაც შეეხება ხსენებულ ინტერვიუში ფირმა „კოკა-კოლას“ დამკვიდრების „პრესტიჟულ“ საქმის და ჩვენი საამაყო „ლაღიძის წყლების“ საკუთარი მიწაწყლიდან განდევნის გამართლების მცდელობას, ეს ცალკე საუბრის თემაა და ვფიქრობთ იგი საღად მოაზროვნე თანამემამულეებში არავითარ მხარდაჭერას არ უნდა ჰპოვებდეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებული ბატონ ბონდო ზარნაძის რეპლიკა, რომელიც გამოხატავდა საქართველოს კერძო მეწარმეთა და ბიზნესმენთა ინტერესებს, მიზნად ისახავდა სამომავლოდ ასეთი კრედიტების განაწილების დროს ანალოგიური დარღვევების დაუშვებლობას. ამდენად საქართველოს მეწარმეთა და მოიჯარეთა კავშირის თავმჯდომარის განქიქება იმის საბაბით, რომ კრედიტის ნაწილის მიღების „ჩასაწყობად“ ის არ იახლა სახელმწიფო მოხელეებს, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

დაბოლოს, ნუთუ სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლოა 50 მილიონი დოლარი კრედიტის მიმღებთა ზუსტი დასახელება, რასაც ბატონი ნიკო ასე მოხერხებულად, ზოგადი ფრაზების მოშველიებით თავს არიდებს? არა გვგონია ასეთი მოქმედება საქართველოში ბიზნესის განვითარების სასარგებლოდ ლაპარაკობდეს.

საქართველოს მეწარმეთა და მოიჯარეთა კავშირის პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედებს კომენდანტის საათი

დასჯის ზომები გამკაცრდება

როგორ გაიარა საკომენდანტო საათმა მისი შემოღების პირველ ღამეს?

საქინფორმის კორესპონდენტის ამ კითხვაზე უპასუხებს ქალაქის კომენდანტი ზაზა ჩაჩუა:

— კომენდანტის საათის გამოცხადებისთანავე ქალაქის მერთან კოტე გაბაშვილთან ერთად, დავიწყეთ მოძრავი ჯგუფებით დილამდე ქალაქის შემოვლა, — თქვა კომენდანტმა. — შემოსასვლელები საიმედოდ იყო გამაგრებული. რაიმე სერიოზულ გართულებას ადგილი არ ჰქონია.

გადავწყვიტეთ, რომ 7 ოქტომბრიდან აეროპორტში, გარდა დიპლომატიური ავტომანქანებისა, თვითმფრინავები შემოვიდნენ კომენდანტის საათის დაწყებამდე ან მისი დამთავრების შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დილის ექვს საათამდე მგზავრები აეროპორტში დარჩებიან. ასევე უნდა მოიქცეს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობაც, რათა, 22 საათამდე მიიღონ მატარებლები.

კომენდანტის საათის დროს გავაჩერეთ მანქანები, რომლებიც 23 საათის შემდეგ მოძრაობდნენ, ჩამოვართვით ავტომანქანის გასაღებები და სხვა 80 კაცთან ერთად დილამდე გავაჩერეთ.

მაგრამ, დასჯის ზომები თანდათან უფრო გამკაცრდება. შევამცირეთ უძრავი პიკეტების რაოდენობა, სამაგიეროდ, გავზარდეთ მოძრავი ჯგუფები. განსაკუთრებულად დავსჯით ყაჩაღობის მცდელობის ფაქტებზე დაკავებულ პირებს. რაც შეეხება პურის ქარხნების დაცვას, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, პირადად ჩემი ბრძანებით, წესრიგის დამცველებს უფლება აქვთ გახსნან ცეცხლი.

ამიტომ, კიდევ ერთხელ მივმართავ მოსახლეობას: ყველანი დავემორჩილოთ კანონს.

გულიკო მარკოზაშვილი.

კოდორის ხეობა:

აფხაზეთიდან ლტოლვილთა მეათე დღე

საკენი, 5 ოქტომბერი. (საქინფორმის კორ.). მეათე დღეა გრძელდება აფხაზეთიდან გუდაუთელ სეპარატისტთა დაქირავებული ბარბაროსული ძალების მიერ დევნილი ქართველი მოსახლეობის წინსვლა მდინარე კოდორის ხეობით სვანეთისაკენ. ახლა უკვე ნათელია, რომ გენოციდს თავი დააღწია 180 ათასზე მეტმა ადამიანმა, მათი ცოცხალი რიგი კოდორის უგზო-უკვლო ხეობაში ახლა გულრიფშის რაიონის სოფელ გენწვიშიდან მესტიის რაიონამდე თითქმის ოთხმოც კილომეტრზეა გაჭიმული.

ბევრმა ლტოლვილმა — ძირითადად ახალგაზრდებმა — უკვე გადმოლახა ურთულესი უღელტეხილი და მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში იმყოფება, მაგრამ ათეულათასობით ქალი, ჩვილი, ბავშვი, მოზარდი და მოხუცი ადამიანი უღელტეხილის მისადგომებთან ღია ცის ქვეშ იმყოფება და შველას ითხოვს. უმეტესობას აღარ ძალუძს უღელტეხილზე გადმოსვლა, რადგან უკან დარჩენილმა გზასავალმა, შიმშილმა და სიცივემ დააუძლურა. არის ჩვილი ბავშვებისა და მოხუცების დაღუპვის შემთხვევები.

ფაქტობრივად, შეუსვენებლად მუშაობენ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ვერტმფრენთა ეკიპაჟები, რომლებსაც ქუთაისიდან ლტოლვილთათვის ჩააქვთ სურსათი და ტანსაცმელი, იქიდან კი ჩამოჰყავთ დაუძლურებული ადამიანები. მაგრამ მათი ეს მცდელობა მხოლოდ წვეთია ზღვაში, რადგან ერთადერთ მხსნელს — ვერტმფრენს იქ ათეულათასობით ადამიანი ელის. ვერტმფრენთა პარკი კი შეზღუდულია.

— ლტოლვილთა დახმარების რესპუბლიკური შტაბის, ქუთაისის, მესტიის, ჭუბერის შესაბამისი სამსახურების ღონისძიებებს, რომლებიც ამ მხრივ ყოველდღე ხორციელდება, ალბათ, სრული ეფექტი არ ექნება, თუ ასეთივე შტაბი არ ამოქმედდა თვით აქ, კოდორის ხეობაში, რომელიც ადგილზე მოახდენს რესპუბლიკური შტაბის ღონისძიებათა კოორდინაციას,— უთხრა ჩვენს კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის წევრმა ვალერი კვარაცხელიამ, რომელიც 4-5 ოქტომბერს კოდორის ხეობაში ლტოლვილთა ბანაკებში იმყოფებოდა. 4 ოქტომბერს აქ ჩამოვიდნენ აგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი სააგენტოების, პრესისა და რადიო-ტელევიზიის კორესპონდენტები. მათი აქ მოგზაურობის ინიციატორი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური იყო. დღესვე, 5 ოქტომბერს, ჭუბერსა და კოდორის ხეობას ეწვია საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია.

საქართველოში დატრიალებულ ბოლო დროის მოვლენებთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა თამაზ გენძეხაძემ ინტერვიუ ჩამოართვა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს.

აქტუალური ინტერვიუ

ასლან აბაშიძე: „აჭარა იყო, არის და იქნება საქართველოს შემადგენელი ნაწილი“

— აფხაზეთის ომმა უბედურება მოუტანა მთელ საქართველოს. მის მთლიანობას რეალური საფრთხე შეექმნა. რა თქმა უნდა, აჭარა არ დარჩენილა გულგრილი მიმდინარე პროცესებისადმი. რას იტყვით ამის თაობაზე?

— აფხაზეთი ჩვენი საერთო სატკივარია. საქართველო არასდროს არ შეურიგდება დანაწევრებას. იგი ერთიანი და განუყოფელია. ყველამ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მოახმაროს ჩვენი სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნებას.

აფხაზეთში ომის დაწყების პირველი დღიდანვე, რომელსაც უმძიმესი შედეგები მოჰყვა, სამშობლოს ვეხმარებოდით, რითაც შეგვეძლო. სახსრებს ვრიცხავდით თავდაცვის ფონდში, მივიღეთ 35 ათასზე მეტი ლტოლვილი. აფხაზთა მხარის მიერ სოჭის შეთანხმების დარღვევის შემდეგ სოხუმში გავგზავნეთ 200 ტონა დიზელის საწვავი, 100 ტონა ბენზინი, 165 ტონა ფქვილი, სურსათი, მედიკამენტები და სხვა. ლტოლვილთა ნაკადი ჩვენთან დღემდე არ წყდება. აფხაზეთში იმყოფებოდნენ მოხალისეები აჭარიდან — ბრიგადა, რომელიც ემორჩილებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.

— რაიმე თუ იღონეთ აფხაზეთში ომის თავიდან აცილებისთვის?

— მე ველაპარაკე სახელმწიფოს მეთაურს იმის თაობაზე, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა მონაწილეობა მიმეღო რუსეთთან მოლაპარაკებაში, შემდეგ კი მოვახსენე, რომ ვაპირებ გუდაუთაში ჩასვლას. როგორც ჩანს, მიიჩნიეს, რომ ამის გაკეთება საჭირო არ იყო.

— დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით თქვენი სამშვიდობო მისია დამთავრდა იმით, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მომწიფებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესახებ. სამწუხაროდ, იგი ახლა დარღვეულია. როგორ შეფასებას მისცემდით ამას?

— ვახტანგ კობალიასთან ჯერ კიდევ პირველ შეხვედრამდე, მან ჩემი თხოვნით თავისი შეიარაღებული ფორმირებები გაიყვანა ხობიდან და სენაკიდან, სადაც მაშინვე შევიდნენ საქართველოს შინაგანი ჯარები. მაშინ ვ. კობალიას ეჭვი შეეპარა დაპირისპირებული მხარის გულწრფელობაში. ხოლო, როცა ქობულეთში უკვე დელეგაციების დონეზე შეხვედრის დროს საქართველოს ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა ზუგდიდის მხარის წარმომადგენლებს სახელმწიფო დამნაშავეები უწოდა და სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდა მათ მიმართ განეხორციელებინათ შესაბამისი ღონისძიებები, ამით, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ დავკარგეთ მათი ნდობა ჩვენდამი.

დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ახლანდელი მოვლენები უბრალოდ შეთანხმების დარღვევა კი არა, სამოქალაქო ომის დაწყებაა, რომლის მასშტაბი იზრდება და შეიძლება ამან გაუთვალისწინებელი შედეგები მოგვიტანოს.

მიმაჩნია, რომ კონფლიქტის მოწესრიგებისთვის პოლიტიკური მეთოდებით დაწყებული მუშაობა უნდა გაგრძელდეს.

— ვრცელდება ხმები, რომ თქვენ ხვდებოდით ბატონ გამსახურდიას, და, რომ აჭარაში იმყოფებიან მისი ოჯახის წევრები...

— ბატონ ზვიად გამსახურდიას არ შევხვედრივარ 1991 წლის 17 ნოემბრიდან. მან ორჯერ დამირეკა — 1991 წელს და 1992 წლის იანვარში, როგორც კი გროზნოში ჩავიდა. იქიდან მოყოლებული არანაირი საუბარი, და მით უმეტეს, შეხვედრა არ მქონია. ხმებს ავრცელებენ ისინი, ვისაც ეს ხელს აძლევს. თუ რაიმე გადაწყვეტილებას ვიღებ ან რაიმეს ვაკეთებ, ამას დაუფარავად ვაკეთებ. მე საკუთარი პლატფორმა მაქვს, რომლიდანაც არ ვუხვევ და აზრს არ ვიცვლი. ქობულეთში მოლაპარაკების დროს ბატონ გამსახურდიასთან გროზნოში სამჯერ გავგზავნე ხალხი, რათა მიმეღწია, რომ დამთანხმებოდა პრინციპული საკითხების გადაწყვეტაში, რომლის გადაჭრაც ვერ შეძლეს ზუგდიდის დელეგაციის წევრებმა. შესაბამისად მას სამჯერ გადასცეს ჩემი აზრი იმის თაობაზე, რომ მისი დაბრუნება საქართველოში გამოიწვევს შემდგომ გართულებას. უნდა გითხრათ, რომ რესპუბლიკის მაშინდელი კანონიერად არჩეული ხელმძღვანელობის იარაღით ჩამოგდება შეცდომა იყო. ახლაც დაუშვებელია ძალაუფლების იარაღით ხელში ჩაგდება, ანუ იგივე შეცდომის გამეორება. ერთადერთი გზა გახლავთ არჩევნები. დაე ხალხმა თავად გააკეთოს არჩევანი.

— თუ მოეწყობა არჩევნები, თქვენ მიიღებთ მონაწილეობას?

— არა, არ მივიღებ. მე მაღიზიანებს სავარძლისთვის ბრძოლა. და არა მარტო საქართველოში, არამედ, საერთოდ, ნებისმიერ ქვეყანაში. ძალით შეიძლება, ვთქვათ, ევერესტის დაპყრობა, რინგზე გამარჯვება, სავარძლისთვის შეიარაღებული ბრძოლა ჩემთვის მიუღებელია.

— ირწმუნებიან, რომ თქვენ მიერ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებების და ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობების შეთავსებით ავტორიტარული ხელისუფლების დამყარება გწადიათ. რას იტყვით ამაზე?

— ვინც ამას ამბობს, ჩამოვიდეს და ნახოს, როგორი ხელისუფლება გვაქვს. იგი ყველაზე დემოკრატიულია. ეს სინამდვილეა და არა ლიტონი სიტყვები. რაც შეეხება თანამდებობათა შეთავსებას, ეს ჩემთვის დიდი დატვირთვაა. მე რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვყოფილიყავი და შემეთავსებინა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციები, შეიძლებოდა გეთქვათ, რომ ეს პრესტიჟულია. მე კი, ავტონომიური რესპუბლიკის პირველ ხელმძღვანელს, არაფერში მჭირდებოდა შემეთავსებინა თანამდებობები. ჩვენ ვერ მოვამზადეთ ამ ადგილისთვის შესაბამისი კანდიდატურა. კადრების ნაკლებობას განვიცდით. ახლა, მართალია, საკითხებს სწრაფად ვჭრით, მაგრამ ძალზე მჭირდება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. როგორც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბევრი მოვალეობა მაკისრია.

— განმარტეთ, თუ შეიძლება, „ოსტანკინოს“ ცნობა იმის შესახებ, რომ აჭარა ნელ-ნელა აღწევს თავს თბილისის კონტროლს.

— კატეგორიულად არ ვეთანხმები ამ ცნობას, მაგრამ ხელწერა ჩემთვის ცნობილია. მისი წყარო თბილისი გახლავთ. მაგალითად, საქართველოს ვიცე-პრემიერმა კერვალიშვილმა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ ვერ შევდივართ ოსეთში, აფხაზეთში და აჭარაში. ასეთი სიტყვები უყურადღებოდ არ რჩება. როგორც ჩანს, ასეთ სახელმწიფო პოლიტიკას მიზანმიმართულად ახორციელებს რესპუბლიკის ზოგიერთი ლიდერი. გავიხსენოთ თუნდაც ბატონ ნინიძის გამოსვლა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე.

მაკვირვებს ის, რომ აჭარაში ყოფნის დროს ორივენი დითირამბებს უმღეროდნენ და ხოტბას ასხამდნენ ავტონომიურ რესპუბლიკას. ამბობდნენ, ნეტავ მთელ საქართველოში ისე იყოს ყველაფერი, როგორც აქ არისო. თბილისში რომ დაბრუნდნენ, სულ სხვაგვარი ლაპარაკი დაიწყეს.

აჭარა ყოველთვის იყო, არის და იქნება საქართველოს შემადგენელი ნაწილი და მუდამ დაუჭერს მხარს ცენტრს. მაგრამ არასდროს არ დავუშვებთ ჩვენთან იმას, რაც ხდებოდა და ხდება რესპუბლიკის სხვა რეგიონებში, თორემ ყოველივე ეს სრულ კრახს მოუტანს საქართველოს სახელმწიფოებრიობას.

მხარდაჭერა

ამერიკა ეხმარება საქართველოს

საქართველოს რესპუბლიკის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში და მუდმივი წარმომადგენელი გაეროში პეტრე ჩხეიძე ვაშინგტონიდან გვატყობინებს:

საქართველოში მიმდინარე პროცესები, აფხაზეთში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენები გაეროს, საერთაშორისო ორგანიზაციების, მსოფლიოს ქვეყნების პოლიტიკური წრეების ყურადღების ცენტრშია. საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს, გაეროში მისი წარმომადგენლობის მიერ ბოლო პერიოდში გამართულმა მრავალმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მსოფლიო მხარს უჭერს საქართველოს ხელმძღვანელობის კურსს. ჩვენი ქვეყნისათვის ამ უმძიმეს ჟამს უდიდესი საფინანსო ორგანოები — საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (მსოფლიო ბანკი), საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო, საერთაშორისო განვითარების ასოციაცია მზად არიან განიხილონ და შეუდგნენ პროექტების განხორციელებას საქართველოსათვის განსაკუთრებით საინტერესო ყველა სფეროში.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის მითითებით მიმდინარე წელს საქართველოსათვის მოსაწოდებელი 94 ათასი მეტრული ტონა ხორბლის მოცულობა სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა 254 ათას მეტრულ ტონამდე გაზარდა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მიმართვის შედეგია. მომავალი, 1994 წლის პირველი ნახევრისათვის დეპარტამენტმა დაგეგმა 20 მილიონი დოლარის ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოწოდება, სათანადო შესწორებებია შეტანილი ადრე დადებულ ხელშეკრულებებში. შარშან და წლეულს საქართველოსათვის ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაწეულმა დახმარებამ 220 მილიონი დოლარი შეადგინა. საქართველოს რესპუბლიკას პრიორიტეტული მდგომარეობა ექნება იმ დახმარების განაწილებისას, რომელიც 2,5 მილიარდი დოლარის ოდენობით გამოყო ამერიკამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. ამასთან დაკავშირებით სენატმა კანონში შეიტანა დამატებები, რომლებითაც გათვალისწინებულია დახმარების შეჩერება იმ ქვეყნებისთვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისათვის რომ იბრძვიან.

გუდაუთის დაჯგუფების მიერ 16 სექტემბერს განხორციელებულ მზაკვრულ თავდასხმას ერთგვაროვანი შეფასება მიეცა პოლიტიკურ წრეებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. სრული გაგებითა და მხარდაჭერით მოეკიდნენ სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიმართვებს, რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭომ გადასცა ყველა წარმომადგენლობას. იმავე დღის შესაბამისი განცხადება გააკეთა გაეროს გენერალურმა მდივანმა. საქართველოს წარმომადგენლობის მოთხოვნით კონსულტაციებისათვის შეიკრიბა უშიშროების საბჭო, რასაც მოჰყვა მისი თავმჯდომარის ანალოგიური განცხადება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩი და გაეროში მისი მუდმივი წარმომადგენელი პეტრე ჩხეიძე შეხვდა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ვაშინგტონში და ფართო განმარტება მისცა მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით. სახელმწიფოს მეთაურის მიმართვა გადაეცა პრეზიდენტ კლინტონსა და სახელმწიფო მდივანს. 17 სექტემბერს ელჩმა მონაწილეობა მიიღო უშიშროების საბჭოს მუშაობაში. საბჭომ შესაბამისი დოკუმენტი გაავრცელა გაეროს წევრ ქვეყნებში, დაგმო სეპარატისტთა მოქმედება, მოუწოდა მსოფლიოს ქვეყნებს განახორციელონ ღონისძიებანი საქართველოში სამშვიდობო პროცესების დასაჩქარებლად. ქვეყნის ხელისუფლების მხარდასაჭერად. ბილ კლინტონმა და ბუტროს გალიმ სახელმწიფოს მეთაურს გამოუგზავნეს წერილები, რომლებშიც მხარს უჭერენ მას.

„აფხაზთა მიერ სოჭის ხელშეკრულების დარღვევის დაგმობა“ — ასეთი სათაურით 24 სექტემბერს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება გააკეთა დეპარტამენტის სპოუქსმენმა. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სავსებით უჭერს მხარს სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და ხელს შეუწყობს მის ძალისხმევას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად“. მან უპასუხა ბრიფინგზე მოსული ჟურნალისტთა კითხვებს, თქვა, რომ ამერიკა კვლავაც გაუწევს დახმარებას ქართველ ხალხს მისთვის ამ უმძიმეს ჟამს, აღინიშნა თვითმფრინავების ჩამოგდების, ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფის, ხელშეკრულების დარღვევის, არაჰუმანური მოქმედების ფაქტები.

გაეროს გენერალური მდივნის მიმართვის საფუძველზე გენერალური ასამბლეის მთავარმა კომიტეტმა სესიის დღის წესრიგში დამატებით საკითხად შეიტანა „საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის დაფინანსება“, რაც შესაძლებელს გახდის უფრო გაფართოვდეს რესპუბლიკის პრობლემათა განხილვის არეალი. მანვე გააკეთა განცხადება, რომელშიც სათანადო შეფასება მიეცა აფხაზეთში მომხდარ მოვლენებს.

აფხაზეთში შექმნილი ტრაგიკული სიტუაციის გამო 27 სექტემბერს საელჩომ კვლავ მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ვრცელი წერილით, რომელშიც განმარტავს რეგიონალური ვითარების მოსალოდნელ გამწვავებას.

28 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა კვლავ გააკეთა განცხადება. აღინიშნა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები კატეგორიულად გმობს სეპარატისტთა შეიარაღებული ძალების მოქმედებას. იგი ყოველმხრივ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არ ცნობს შეიარაღებული ძალებით მოპოვებულ დეზინტეგრაციას“. „ჩვენ, — აღნიშნულია განცხადებაში, — კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ სავსებით ვუჭერთ მხარს მთელ მსოფლიოში აღიარებულ საქართველოს მთავრობას, სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის ძალისხმევას კრიზისის გადალახვისა და რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის“.

გაეროს გენერალური ასამბლეის 48-ე სესიაზე გერმანიის ვიცე-კანცლერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა კლაუს კინკელმა, შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქალბატონმა მარგარეტა აფ უგლასმა, განაცხადეს, რომ აუცილებელია აქტიურად დაუჭირონ მხარი საქართველოს რესპუბლიკის ლიდერს ედუარდ შევარდნაძეს; საქართველოს მისიას სრული მხარდაჭერა და ხელშეწყობა აღუთქვეს დიდი ბრიტანეთის, უკრაინის, კანადის, ბელარუსის, აზერბაიჯანის, მოლდოვის, ბელგიის, და სხვა ქვეყნების წარმომადგენლობებმა.

29 სექტემბერს საქართველოს ელჩი შეხვდა ამერიკის პრეზიდენტის საგანგებო ელჩს ბატონ სტროუბ ტელბოტს, რომელმაც პრეზიდენტის დავალებით გვაცნობა, რომ გათვალისწინებულია საომარ მოქმედებათა გამო დაზარალებულთათვის განხორციელდეს დახმარების პირველი ეტაპი. საქართველოში გამოიგზავნება მილიონი დოლარის მედიკამენტები და სამედიცინო აპარატურა, 600 ათასი დოლარის დახმარება „ბავშვთა გადარჩენის პროგრამის“ ფარგლებში. თითო მილიონი დოლარი გადაეცა საერთაშორისო წითელ ჯვარს და გაეროს ლტოლვილთა საკითხების უმაღლეს კომისარს.

შეხვედრას ესწრებოდა სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოს საკითხთა კოორდინატორი ჯონ ჯოისი. საუბარი შეეხო საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხებს. გვაცნობა, რომ ამასთან დაკავშირებით ამერიკის პრეზიდენტს ხანგრძლივი სატელეფონო საუბარი ჰქონდა რუსეთის პრეზიდენტთან. აღნიშნული თემა გრძელდება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან მიმდინარე შეხვედრებში. ბატონმა ტელბოტმა აღნიშნა, რომ ამერიკის პრეზიდენტი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს საქართველოსადმი, გადაწყვეტილი აქვს უფრო ენერგიულად მოეკიდოს ხელი რესპუბლიკის პრობლემებს, სახელმწიფოს მეთაურის მიერ დასმულ საკითხებზე მუშაობას. ბატონმა ჯონ ჯოისმა აღნიშნა, რომ მას დიდი ხანია კარგი ურთიერთობა აქვს შევარდნაძესთან და გადმოგვცა, რომ პირადად, თავის მხრივ, ყველაფერს იღონებს, რათა შეძლებისამებრ მხარში ამოუდგეს ქვეყნის ლიდერს პრობლემათა გადაწყვეტის საქმეში.

სახელმწიფოს მეთაურის დავალებით 30 სექტემბერს საქართველოს წარმომადგენლობამ და საელჩომ თხოვნით მიმართეს გაეროს გენერალურ მდივანს, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას გადაუდებელი ღონისძიებანი მიიღონ აფხაზეთის ზონიდან დევნილთა და ლტოლვილთა დახმარების დასაჩქარებლად.

სახელმწიფო დეპარტამენტს, ეროვნული უშიშროების საბჭოს, გაეროს გენერალურ მდივანს გადაეცა სახელმწიფოს მეთაურის განცხადება, რომელიც ყველა ქვეყნის მისიაში გავრცელდა როგორც უშიშროების საბჭოს დოკუმენტი.

მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრები გამართა ვაშინგტონში მყოფმა სამთავრობო დელეგაციამ ბატონების ე. ჯოლიას, მ. ჯიბუტის, მ. კლიმიაშვილის, გ. ბაგრატიონის შემადგენლობით მსოფლიო ბანკის სტრუქტურების ხელმძღვანელებთან. გადაწყდა საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები.

დაგეგმილი გვაქვს შეხვედრები და კონსულტაციები პოლიტიკურ, საფინანსო, ჰუმანიტარულ წრეებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს რესპუბლიკის საელჩო.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა გენერალი ჯონ შალიკაშვილი დაამტკიცა შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარედ

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა **სამშაბათს** გენერალი ჯონ შალიკაშვილი დაამტკიცა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის ახალ თავმჯდომარედ. იგი ამ პოსტზე შეცვლის გენერალ კოლინ პაუელს, რომელიც 30 სექტემბერს გადადგა. შალიკაშვილი 57 წლისაა. დაბადებულია პოლონეთში, საიდანაც მშობლებთან ერთად რვა წლისა ამერიკაში გადასახლდა. უკანასკნელ ხანს ეკავა ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის პოსტი. გენერლის პაპა ოფიცრად მსახურობდა მეფის რუსეთის არმიაში.

ვინ როგორ ხედავს, ვინ როგორ აფასებს

არ შევცდეთ!

როდესაც საქართველოს სახალხო ფრონტი 1990 წლის 25 მარტის არჩევნებისათვის ემზადებოდა, მისი ყოველი კანდიდატი ფიცს დებდა, რომ მხარს არ დაუჭერდა საბჭოთა კავშირის არსებობის გაგრძელებას ან ახლის შექმნას არანაირი ფორმით. ყოველთვის ვამბობდი (და კანადის ტელევიზიასა და პრესაშიც ვთქვი 1989 წლის ოქტომბერში), რომ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ისეთი წევრი, რომელიც ხმას მისცემს საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას ან განახლებას რაგინდარა ფორმით, სასჯელის უმაღლესი ზომის ღირსი იქნება. დღეს იმის მოწმენი ვართ, რომ მართლაც გვთავაზობენ „ესენგეში“ შესვლას, ანუ ჩვენი ქვეყნისთვის თავისუფლების კიდევ ერთხელ წართმევას. ეს წინადადება სერიოზული არ იქნებოდა, მას რომ გასავალი არ ჰქონდეს გაჭირვებისაგან, ქაოსისაგან და სამხედრო დამარცხებისაგან გამწარებული ადამიანების გარკვეულ ნაწილში, განსაკუთრებით — სოხუმელებისა, რომელთაც ამ ბოლო წლის საშინელებები განსაკუთრებული ძალით დაატყდათ თავს. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, კიდევ ერთხელ ცივად, უემოციოდ და ობიექტურად მოვახსენო საზოგადოებას ის ძირითადი მიზეზები, რომელთა გამოც „ესენგეში“ შესვლა ჩვენი ქვეყნისათვის ყელის გამოჭრა იქნებოდა და არა ხსნა.

პირველი და მთავარი. ჩვენი შესვლა „ესენგეში“ კი არ შეასუსტებს, არამედ, პირიქით, **გააძლიერებს** რუსეთის მტრულ მოქმედებას ჩვენს წინააღმდეგ. ტაჯიკეთი იმთავითვე „ესენგეს“ წევრია, მაგრამ რუსეთის ჯარმა ათჯერ მეტი სისხლი დაღვარა იქ, ვიდრე ჩვენთან დაიღვარა (და — მივაქციოთ ყურადღება! — დაღვარა ისე, რომ არავითარი „ეთნიკური კონფლიქტის“ მოგონება არ დასჭირვებია). დღეს რუსეთს არა აქვს არავითარი უფლებრივი (სამართლებრივი) საფუძველი ჩვენს შინაგან საქმეებში ჩარევისა, და იგი მაინც ერევა ჩვენს საქმეებში თუნდაც აფხაზეთის ომის ორგანიზაციის სახით. ჩვენი ყოფნა „ესენგეში“ მას უფლებას მისცემს ჩვენი შინაგანი მდგომარეობა აკონტროლოს და იგი ამას გამოიყენებს არა მხოლოდ აფხაზეთში ან ცხინვალის ზონაში, არამედ ყველგან, სადაც ამას საჭიროდ ჩათვლის. კერძოდ, იგი სისხლიან კონფლიქტს შექმნის და მასში ჩაერევა (ქართველებს განაიარაღებს, ხოლო საქართველოს მტერს — არა) ყველა იმ წერტილში, რომელსაც დღეს „ჩვენს სხეულში ჩადებულ ნელი მოქმედების ბომბს“ ვუწოდებთ.

მეორე. ჩვენი შესვლა „ესენგეში“ რუსეთისათვის არაა თვითმიზანი. ესაა მისთვის მხოლოდ საშუალება თავისი მიზნების მისაღწევად, სახელდობრ: საქართველოს სახელმწიფოებრიობის, როგორც ასეთის, დათრგუნვისა, საქართველოს დემოგრაფიული ბალანსის შეცვლისა ჩვენს საზიანოდ და საქართველოსთვის ზღვისპირეთის წართმევისა საერთოდ. ეს უკანასკნელი მიზანი რუსეთისათვის განსაკუთრებით ძვირფასია, ვინაიდან ამით იგი მსოფლიო ოკეანისაკენ გზას გვიკეტავს არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მთელს ამიერკავკასიასაც (მის უკან მდგარი შუა აზიითურთ), რითაც, ერთის მხრივ, ამ რეგიონს თავის „ჯიბეში“ იქცევს, მეორეს მხრივ, კი შავი ზღვიდან იცილებს ერთ მცირე, მაგრამ აქტიურ მეტოქეს (ჩვენი რეგიონის სახით), რომლის აქტიურობა უფრო და უფრო გაიზრდება მომავალში, ვინაიდან მას სხვა გზა მსოფლიოსაკენ არ გააჩნია.

თავის ამ მიზანზე რუსეთი **ნებით** ხელს არ აიღებს. იგი ხელს აიღებს მასზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი მტკიცე და სწორი პოლიტიკით **საკმარისად** გავუძნელებთ მას ჩვენი დათრგუნვის ამ გეგმას, რაც, რა თქმა უნდა, გამორიცხულია, თუ „ესენგეში“ ვიქნებით.

მესამე. დღეს მსოფლიოს მართავს მოწინავე ქვეყნების („შვიდეული“ და სხვანი) ნება და საზოგადოებრივი აზრი. მართავს, ძირითადში კარგად, ანუ ისე, როგორც ჩვენი ხალხის მთავარ ათასწლოვან ტრადიციას, სურვილს, ინტერესს შეესაბამება (პიროვნების უფლებების დაცვით, ერის უფლებების დაცვით და ა. შ.). დღეს მსოფლიო ჩვენს მხარეზეა და, მართალია, ჯერ სუსტად, მაგრამ მაინც გვეხმარება ჩვენს უთანასწორო ბრძოლაში. თუ „ესენგეში“ ვიქნებით, მაშინ მსოფლიო ვერ დაგვეხმარება, ვინაიდან ჩვენი და რუსეთის ურთიერთობა „ესენგეს“ შინაური საქმე გახდება. მოვიყვან მაგალითს. დღეს, მიუხედავად ჩვენი დროებითი სამხედრო წარუმატებლობისა, მსოფლიომ თქვა, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია. „ესენგეში“ რომ ვყოფილიყავით, მსოფლიო ვერაფერს იტყოდა ამ თემაზე რუსეთის დაუკითხავად.

მეოთხე. არაა მართალი, რომ „ესენგე“ წარმავალი, დაშლადი კავშირია. პირიქით: მას განმტკიცების, შემჭიდროების ტენდენცია აქვს.

დაბოლოს, **მეხუთე:** სტალინის მიერ შექმნილი სსრკ-სგან განსხვავებით, „ესენგე“ აღარ იქნება მსოფლიოში მეორე მზარდი ინდუსტრიული ძალა. იგი თანდათანობით უკანა პლანზე გადავა დიდ ეკონომიკურ სამრეწველო კონკურენტუნარიანობის მხრივ და, ამ დასუსტებიდან გამომდინარე, იძულებული იქნება გაადიდოს თავისი უმცროსი პარტნიორების (რესპუბლიკების) ეკონომიკური, მორალური თუ ადმინისტრაციული ჩაგვრის ხარისხი. „ინტერნაციონალიზმი“, რომელიც სსრკ-ში ნიღბავდა რუსულ თვითმპყრობელობას, აღარ იარსებებს. წარმოვიდგინოთ, რას მოუტანს ეს იმ არარუსებს, ვინც ვერ დააღწევს თავს ამ იმპერიას, სადაც უახლოესი ოცწლეულის მანძილზე თითქმის ყოველდღიურ ნორმად იქცევა ისეთი სისხლიანი შეტაკებები, როგორიც დღეს მოსკოვში მიმდინარეობს!

დასკვნა ნათელია: ჩვენი ქვეყნის შესვლა „ესენგეში“ დღეს არა მხოლოდ ჩვენი მომავალი ისტორიის, არამედ ჩვენი დღევანდელი თაობების ღალატიც იქნებოდა. ვიყოთ ფხიზლად!

ნოდარ ნათაძე,
საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე.

„ვეჩერნი პეტერბურგის“ ფურცლებზე

საქართველოში გავარდნილმა ნაპერწკალმა შეიძლება რუსეთიც ააფეთქოს

ამ ცოტა ხნის წინათ გაზეთმა „ვეჩერნი პეტერბურგმა“ გამოაქვეყნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის კონსტანტინე ხუდოლეის სტატია საქართველოში და მთლიანად კავკასიის რეგიონში რუსეთის პოლიტიკის შესახებ. გთავაზობთ ამ წერილს.

საქართველოში საომარი მოქმედების განახლებამ ჩრდილოეთ კავკასიის კონფლიქტთან და სომხეთ-აზერბაიჯანის ომთან ერთად შეიძლება ეს რეგიონი გადააქციოს ჩვენი პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე ფეთქებადსაშიშ წერტილად.

ხელისუფლების სათავეში ე. შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ მისი სტრატეგია მიზნად ისახავდა საქართველო გადაექცია ძლიერ და აყვავებულ სახელმწიფოდ, უწინარეს ყოვლისა, მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და ქვეყნის ტერიტორიაზე კასპიის ზღვისა და სპარსეთის ყურის რაიონებიდან შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ ნავთობის გადაზიდვის შესაძლებლობის გამოყენებით. მაგრამ ამ გზაზე საქართველოს ხელმძღვანელის წინაშე წამოიჭრა ისეთივე პრობლემები, როგორც ყველა სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში — სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, პოლიტიკური არასტაბილურობა, ეროვნებათაშორისი კონფლიქტები... მაგრამ თვალს რომ გადავავლებთ იმას, თუ როგორ მწვავდებოდა, ზოგჯერ კი ცხრებოდა და ხელახალი ძალით გაჩაღდებოდა ხოლმე ეს კონფლიქტები, შეუძლებელია არ დაგვებადოს ეჭვი, რომ ყოველივე ამას უშუალოდ თუ არ წარმართავდნენ, ინსპირირებული მაინც იყო ერთი წერტილიდან, რომელიც, როგორც ჩანს, რუსეთში მდებარეობს.

რუსეთს კავკასიაში აქვს სერიოზული ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და სხვა ინტერესები, და ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს რუსეთის გავლენის შენარჩუნება ამ რეგიონში. მაგრამ როგორ მივაღწიოთ ამას? არსებობს ორი ვარიანტი. პირველია შიგ საქართველოში კონფლიქტების გაღვივება, შემდეგ კი თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ, პირდაპირი (უზენაეს საბჭოში მავანნი უკვე ლაპარაკობდნენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთების შესახებ) თუ არაპირდაპირი გზით მისი რუსეთისადმი დამორჩილება. მეორე გზაა ე. შევარდნაძისა და ძლიერი საქართველოს გეგმების მხარდაჭერა და ამ რეგიონში მისი რუსეთის მოკავშირედ გადაქცევა.

შევეცდებით შევადაროთ, თუ რას მისცემს რუსეთს, მისი სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით, თითოეული ამ ვარიანტის განხორციელება.

რუსეთისათვის მთავარი პრობლემაა მისი ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნება, რასაც საფრთხეს უქმნის სეპარატიზმი ჩრდილოეთ კავკასიის მთელ რიგ რესპუბლიკებში. საქართველოს დაშლა გააძლიერებს ჩრდილოკავკასიურ სეპარატიზმს. სოჭში მიღწეული შეთანხმებით ხომ აფხაზთა პოლიტიკურმა ელიტამ მიიღო ის, რაზეც ოცნებობდნენ ჩვენი მრავალი ავტონომიის ლიდერები. იტყვის თუ არა უარს აფხაზთა ელიტა თავის უფლებებზე ცენტრის სასარგებლოდ, თუ ეს ცენტრი იქნება არა თბილისი, არამედ მოსკოვი? ვეჭვობ, რომ არა. უკუზემოქმედება კი უეჭველია. დარწმუნებული ვარ, რომ სოჭის შეთანხმებებმა (რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორებთან ერთად) მისცეს სტიმული იმას, რომ ამ მოვლენიდან რამდენიმე დღის შემდეგ ინგუშეთის ხელმძღვანელობამ მოაწერა ხელი გადაწყვეტილებას რუსეთისაგან დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმის გამართვის შესახებ. ძლიერი საქართველოს გაჩენამ კი, რომელიც ბარიერივით აღიმართება თურქეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის (მათი უმრავლესობა მუსლიმანურია) შეუძლებელია არ შეასუსტოს მათი სეპარატიზმი.

პოლიტიკის პირველი ვარიანტის განხორციელება გამოიწვევს კონფრონტაციას უკრაინასთან. და აქ საქმე მარტო ყირიმისა და დონბასის პრობლემები როდია. თუმცა, არც მათი მნიშვნელობა უნდა დავივიწყოთ. უკრაინასთან კამათში რუსეთმა ახლა გამოიყენა თავისი მთავარი კოზირი — გაზი: ახალ გაზსადენს პოლონეთში გაიყვანენ უკრაინის ტერიტორიის გვერდის ავლით, გაზის მიწოდებისათვის ვალების გასტუმრება დაკავშირებულია შავი ზღვის ფლოტის გადაცემასთან და ა. შ. საკითხის ასე დაყენებისათვის რუსეთს ყველა საფუძველი აქვს — გსურთ იყოთ დამოუკიდებლები, ჰოდა, იყავით კიდეც, მაგრამ ეს ვერ დააჩქარებს უკრაინის მიერ ისეთი ახალი ენერგიის შემცველების ძიების პროცესს (თუმცა, ეს პროცესი ნებისმიერ შემთხვევაში დაიწყებოდა), რომლებიც არ დაექვემდებარება რუსეთის კონტროლს. საქართველოს ტერიტორიის გავლით ნავთობის მიღება ბაქოდან კიევისათვის ოპტიმალური ვარიანტი იქნებოდა. სწორედ აქედან გამომდინარეობს უკრაინის პოლიტიკა ამიერკავკასიაში — ხელშეკრულება საქართველოსთან, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის აფხაზთა მიერ საომარი მოქმედების განახლების ყველაზე მკაცრად დაგმობა და ა. შ. სავსებით სარწმუნოა ის ცნობებიც, თითქოს უკრაინა აწვდიდეს იარაღს აზერბაიჯანს. ასე რომ, საქართველოს გათიშვის ცდებს უკრაინაში, ალბათ, აღიქვამენ როგორც რუსეთის მხრივ იმპერიული პოლიტიკის გამოვლინებას და ეს გამოიწვევს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიმართ სადეზინტეგრაციო პროცესების გაძლიერებას.

პოლიტიკის პირველი ვარიანტის განხორციელება გაართულებს აგრეთვე ურთიერთობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან. დასავლეთი ობიექტურად არის დაინტერესებული ნავთობის ტრანსპორტირების სხვადასხვა გზების ძიებით. თანაც, ე. შევარდნაძე საკმაოდ მარჯვედ უჭერდა ხოლმე მხარს ამერიკის შეერთებულ შტატებს 1992-1993 წლების უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ფორუმებზე, როგორც ჩანს, ამით მან თურქეთისა და ისრაელის შეშფოთებაც კი გამოიწვია იმის თაობაზე, რომ სწორედ საქართველო, და არა ეს ქვეყნები, გახდება ამერიკის მთავარი მოკავშირე ამ რეგიონში. ამჟამად თავს ვიკავებ განსჯისაგან ასეა ეს სინამდვილეში თუ არა, მაგრამ ამერიკის ყოფნა საქართველოში არის ფაქტი, რომელსაც შეუძლებელია ანგარიში არ გავუწიოთ. და საქართველოს გათიშვის მცდელობა, ალბათ, კიდევ უფრო გააძლიერებს მას. აქ შეიძლება განმეორდეს თურქეთის ისტორია, რომელიც ომისშემდგომ წლებში, გამოხატავდა რა ამერიკის შეერთებული შტატებისადმი აშკარა სიმპათიას, ცდილობდა არ გაერთულებინა ურთიერთობა სსრ კავშირთან. მაგრამ, როგორც კი სსრ კავშირმა წამოაყენა პრეტენზიები ყარსსა და არდაგანზე, თურქეთმა მაშინვე მიიღო „ტრუმენის დოქტრინა“ და შევიდა ნატოში. რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ინტერესები პლანეტაზე ყველაგან როდი ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ თუ ავიღებთ ამ კონკრეტულ რეგიონსა და საქართველოს ტერიტორიის გავლით ნავთობის ტრანსპორტირების გეგმებს, აქ განსაკუთრებული წინააღმდეგობისათვის საბაბი არ ჩანს. და განა ღირს მისი შექმნა?

და ბოლოს, შეძლებს კი ძლიერი საქართველო, რომელსაც ექნება პარტნიორული ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ამავე დროს რუსეთის მოკავშირეობაც თუ „ცივი ომის“ წარმოდგენებით ვიხელმძღვანელებთ, ეს შეუძლებელია. მაგრამ სამყარო ახლა უკვე აღარ არის ორპოლუსიანი, აქ გაცილებით რთული და ჭრელი სურათი შეიქმნა. ჰოდა, სწორედ ამიტომ, ასეთ შეხამებაში არაფერი შეუძლებელი არ არსებობს. უფრო მეტიც, რამდენად ძლიერიც უნდა იყოს საქართველო, იგი ვერ შეედრება რუსეთს და, რა თქმა უნდა, ყოველთვის შეეცდება გამონახოს დიდ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთგაგების გზები, თუ იგი, რასაკვირველია, არ დაუშვებს შეცდომებს.

რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში საკმაოდ მერყევია. თანაც, გარკვეული ყურადღება გამახვილებული იყო პირველ, ჩემი აზრით, უპერსპექტივო ვარიანტზე. თუნდაც, რად ღირს ის, რომ მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებაზე თანაბარ პატივს მიაგებდნენ საქართველოსა და აფხაზეთის უზენაესი საბჭოების წარმომადგენლებს, თუმცა, საერთაშორისო აქტის თანახმად, ეს მეორე მხარეს არ ეკუთვნის. არავის არ დაუცდია პასუხი კითხვაზე, თუ რომელ აეროდრომზეა დაბანაკებული აფხაზთა ავიაციის ბაზა. და ეს ნუსხა შეიძლება კიდევ გავაგრძელოთ. როგორც ჩანს, რუსეთის გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს, თანაც, ზოგჯერ — დაპირისპირებულებს, საქართველო სურთ აქციონ თავიანთ საცდელ პოლიგონად— შეძლებს, თუ ვერა ყოფილი ავტონომია მიაღწიოს სრულ თავისუფლებას, წარმატებული იქნება თუ არა პრეზიდენტის მმართველობა (ე. შევარდნაძემ კი აბსოლუტურად ლეგიტიმურად შემოიღო სწორედ იგი, თუმცა სულ სხვა სახელწოდებით)... მაგრამ, ვფიქრობ, რომ ყველა როდი უფიქრდება იმას, თუ როგორ აისახება ყოველივე ეს რუსეთზე. საქართველოში გავარდნილმა ნაპერწკალმა კი შეიძლება ააფეთქოს რუსეთი.

რუსეთი იყო სოჭის შეთანხმებათა ინიციატორი და არსებითად, მისი გარანტიც არის. და, სწორედ ამიტომ, მისი პრესტიჟის საქმეა მიაღწიოს ამ შეთანხმებათა მკაცრ შესრულებასა და აფხაზთა ჯარების გაყვანას. სამხედრო ღონისძიებანი აქ, ალბათ, ვერაფერს ხეირს ვერ მოგვიტანს: რუსეთის დიდი საჯარისო კონტინგენტების გამოჩენა კონფლიქტის ზონაში კი, ალბათ, ჩვენი მხრივ ამაო მსხვერპლსა და ანტირუსული განწყობილების გაღვივებას თუ გამოიწვევს. მაგრამ საომარი მოქმედების განახლების ბრალეულთა წინააღმდეგ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სანქციათა მთელი სპექტრი გამოყენებული უნდა იყოს არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც. რუსეთისათვის უპრიანი იქნებოდა აღიკვეთოს მის მოქალაქეთა ყველა მცდელობა მიიღონ მონაწილეობა საომარ მოქმედებებში ვის მხარეზეც უნდა იბრძოდნენ ისინი და რა საბაბითაც უნდა კეთდებოდეს ეს. შემდეგ კი უნდა დაიწყოს მოლაპარაკება, ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკება, რადგან უბრალო გადაწყვეტილებათა მიღება აქ შეუძლებელია და გათვალისწინებული უნდა იყოს ამ რეგიონის ყველა ხალხის, მათ შორის ქართველებისა და აფხაზების, ინტერესები.

კონსტანტინე ხუდოლეი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია 93

გულრიფში. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის პრესცენტრში გვაცნობეს, რომ გულრიფშის რაიონში კვლავ იმყოფება ათასობით ქართველი ლტოლვილი. მდგომარეობა კატასტროფულია: არ ხერხდება მათთვის საკვების და ტრანსპორტის მიწოდება. ავადმყოფები და მოხუცები იღუპებიან შიმშილისა და სიცივისაგან. თუ სასწრაფო ზომები არ იქნება მიღებული, უახლოეს მომავალში ათასობით ადამიანი დაიღუპება.

თბილისი. სასტუმრო „ივერიის“ ლტოლვილების პურით მომარაგება ბოლო ხანებში თითქმის შეწყდა. როგორც ცნობილია, ლტოლვილთა რაოდენობა სასტუმროში საგრძნობლად გაიზარდა, რამაც გამოიწვია პურის უკმარისობა.

ადგილი აქვს ლტოლვილთათვის განკუთვნილი მომარაგების გრაფიკის დარღვევას — პურის ქარხნიდან მომავალი ავტომანქანა ხშირად არ იცლება, საკითხავია, ვის ხმარდება ლტოლვილთათვის განკუთვნილი დახმარების ნაწილი?!

თბილისი. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პარლამენტართა ერთმა ჯგუფმა წერილობითი თხოვნით მიმართა სახელმწიფოს მეთაურს ე. შევარდნაძეს, იმის შესახებ, რომ კასპის რაიონის გამგებლად დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი გიორგი ციხისთავი. ე. შევარდნაძემ სიტყვიერი თანხმობა განაცხადა, თუმცა, შესაბამისი ბრძანებულება ჯერ მის მიერ ხელმოწერილი არ არის.

ბათუმი. ჩვენი კორესპონდენტის ცნობით, 4 ოქტომბერს, დაკავებული ბათუმის მერი თენგიზ ასანიძე და მისი ძმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ხელვაჩაურის რაიონში თამაზ ასანიძე ეჭვმიტანილნი არიან ხელვაჩაურის პოლიციის განყოფილების უფროსის ვაჟა გოგიტიძის მკვლელობაში.

ბოლნისი. ბოლნისის რაიონის საგანგებო წესების დაცვის შტაბი იტყობინება, რომ რაიონის გამგეობის ბრძანებულებით, მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის, თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორებს, დაბა კაზრეთის მედსანაწილის მთავარ ექიმს, დაბა კაზრეთის პროფსასწავლებლის დირექციას დაევალათ, უახლოეს ხანში დაამთავრონ მოსამზადებელი სამუშაოები მათზე დაქვემდებარებულ საუწყებო ბინებში, საერთო საცხოვრებლებში და საავადმყოფო დაწესებულებებში, შეიტანონ საჭირო ინვენტარი და სათბობი ნივთები აფხაზეთიდან ლტოლვილთა მიღების უზრუნველსაყოფად და მათთვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად.

თბილისი. 6 ოქტომბერს, საღამოს ზუგდიდიდან თბილისში დაბრუნდა სანიტარული მატარებელი, რომელიც გამოყო საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრომ და თავდაცვის სამინისტროს სამედიცინო განყოფილებამ.

აღსანიშნავია, რომ სანიტარულმა მატარებელმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ექიმი-ქირურგი თემურ ქორიძე, ზუგდიდიდან დაჭრილებთან ერთად 1000-მდე ლტოლვილი — ქალები და ბავშვები ჩამოიყვანა.

სანიტარულ მატარებელს სერიოზული წინააღმდეგობები შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან — 8 დღის განმავლობაში მატარებელი გაჩერებული იდგა ზუგდიდში.

იბერიის ცენტრიდან

როცა გაზი შეწყდა..

ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტამ კვლავ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა სამრეწველო საწარმოები. ბორჯომისა და ხაშურის მინის ტარის ქარხნების სადღეღამისო მუშაობის ციკლის დარღვევა ასობით მილიონი მანეთის ზარალს მოგვიტანს.

— თუ მინის ტარის ქარხნები ბოთლს აღარ მოგვაწვდიან, ბუნებრივია, გავჩერდებით და დავკარგავთ ხელშეკრულებო ვალდებულებებს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი 1 ქარხნის დირექტორმა ო. ჩაჩანიძემ. — დავკარგავთ მხოლოდ ვალუტას, მარტო თურქმენეთის რესპუბლიკას 5 მილიონამდე ბოთლი მინერალური წყალი „ბორჯომი“ უნდა მივაწოდოთ. ჩვენს პროდუქციას ელოდება უკრაინა, ბელარუსია, უზბეკეთი, რუსეთი, სხვა რესპუბლიკები.

რეზო ედინარაძე.

საქართველოს იურისტ-დემოკრატთა ასოციაციის განცხადება

საქართველოს იურისტ-დემოკრატთა ასოციაცია გმობს და მტკიცე პროტესტს გამოთქვამს აფხაზეთის რეგიონში ქართველი მოსახლეობის გენოციდის გამო. რუსეთის იმპერიული და რეაქციული ძალების მარიონეტებს, არძინბას მეთაურობით აფხაზეთში მოქმედებს შეიარაღებული ბანდა, რომელიც ადამიანობის წინააღმდეგ მიმართულ შემზარავ დანაშაულებს სჩადის, უმოწყალოდ ჟლეტს მშვიდობიან მოსახლეობას — ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს. გუდაუთაში გაუსამართლებლად დახვრიტეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა, დახოცეს სხვა ოფიციალური პირები, ჩამოაგდეს სამოქალაქო თვითმფრინავები, რასაც მშვიდობიანი მგზავრების დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ათასობით ქართველი აიძულეს მიეტოვებინა მშობლიური კერა და გაზიზნულიყო. მათ სახლკარს კი რუსი, ჩეჩენი და ჩრდილოეთიდან ჩამოსული სხვა ეროვნების ბანდიტები დაეპატრონნენ. ამ ფაქტებს ააშკარავებს თვითმხილველთა მონათხრობი, არქივებს დოკუმენტური მასალა, საგამოძიებო გზით მოპოვებული მტკიცებები.

საქართველოს რესპუბლიკის იურისტ-დემოკრატთა ასოციაციას მიაჩნია, რომ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული გაეროს უშიშროების საბჭო და დაისახოს ღონისძიებანი არძინბას შეიარაღებული ბანდების მოქმედებათა აღსაკვეთად.

უნდა შეიქმნას საგანგებო საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი, რომელიც გამოიძიებს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულებს და საკადრის მიუზღავს დამნაშავეებს.

აფხაზეთის დაპყრობილი ტერიტორია უნდა გამოცხადდეს უცხო ძალისაგან ოკუპირებულ ტერიტორიად, სადაც სხვა ქვეყნის მოქალაქეთა ჩამოსახლება ჩაითვლება საოკუპაციო რეჟიმის დარღვევად. არძინბას საოკუპაციო ხელისუფლება უნდა გამოცხადდეს შეიარაღებულ ბანდად და მასთან დადებული ყოველგვარი საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება ჩაითვალოს ბათილად. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულებზე არ უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ვადები.

ბათუმში ოპერისა და ბალეტის თეატრი გაიხსნა

ბათუმი. 6 ოქტომბერი. (საქინფორმის საკ. კორ.). აქ გაიხსნა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. პრემიერად წარმოდგენილი იყო ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი „აბესალომ და ეთერი“. მთავარი როლები შეასრულეს ალიკო ხომერიკმა — თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, მარინა ჯახუტაშვილმა, აგრეთვე ტ. გეგელაშვილმა, ო. ხოფერიამ, ნ. გვარჯალაძემ, რ. მექვაბიშვილმა. ნ ხომერიკმა, ზ. ნინუამ, ა. ბაბულეიშვილმა, ა. მამალაძემ. ოპერა დადგა რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ. დირიჟორია დავით მუქერია.

...სიტყვით ვერ გადმოგცემთ აღტაცებას, რომელიც ფარდის აწევისთანავე დაეუფლა მსმენელს. გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს ბრწყინვალე დეკორაციები. ზურმუხტ-ისფერმა, ნარინჯ-ყავისფერმა ტონებმა მონუმენტურობა და სიდიადე მიანიჭეს მათ. ასევე დიდებულია კოსტიუმებიც, რომლებიც ეპოქას შეესატყვისება და ასეთი ღვთიური მუსიკის მკაფიო ფონი გახდა.

დიდებულად ჟღერდა ორკესტრი. შესანიშნავი იყვნენ მსახიობები და მადლიერი მაყურებელიც დიდხანს არ უშვებდა მათ სცენიდან, მრავალჯერ გამოიძახა ისინი სცენაზე.

დასს წარმატებული გამოსვლა მიულოცა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ.

სპექტაკლს წარმოადგენენ ხუთ საღამოს სხვადასხვა შემადგენლობით.

თამაზ ბენძეხაძე.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1993 წლის 7 ოქტომბრიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	11,042.98	კუპონი
ავსტრიული შილინგი	1,499.16	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	25,892.14	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	4,872.46	კუპონი
გერმანული მარკა	10,543.60	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	9,385.22	კუპონი
დანიური კრონი	2,604.00	კუპონი
100 იტალიური ლირა	1,075.30	კუპონი
კანადური დოლარი	12,765.93	კუპონი
ნორვეგიული კრონი	2,410.04	კუპონი
აშშ დოლარი	17,068.00	კუპონი
ფინური მარკა	2,949.14	კუპონი
ფრანგული ფრანკი	3,016.66	კუპონი
შვედური კრონი	2,118.44	კუპონი
შვეიცარული ფრანკი	12,062.26	კუპონი
10 იაპონური იენი	1,620.95	კუპონი
ეკიუ	19,957.63	კუპონი
10 ესპანური პესეტა	1,306.95	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	730.01	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	24,656.49	კუპონი
ისლანდიური კრონი	244.45	კუპონი
ქუვეითური დინარი	57,252.15	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	99.24	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	1,023.21	კუპონი
სინგაპურული დოლარი	10,805.22	კუპონი
10 თურქული ლირა	13.97	კუპონი
ს.დ.რ.	24,101.97	კუპონი
100 რუსული მანეთი	1461.00	კუპონი
ლიტვური ლიტი	4,041.86	კუპონი
ლატვიური ლატი	28,094.30	კუპონი
ესტონური კრონი	1,323.37	კუპონი
1000 უკრაინული კარბოვანეცი	950.00	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

უზენაესი სასამართლოს დარბაზიდან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ წულუკიძის თავმჯდომარეობით, მსაჯულების ლ. ფოფხაძისა და მ. კარტოზიას შემადგენლობით, პროკურორ ვ. ხართანის მონაწილეობით განიხილა საქმე კაკუშა ჭვეხის ძე გრიგოლავას ბრალდების გამო.

სასამართლომ გამოარკვია, რომ 1992 წლის 28 ნოემბერს სენაკის რაიონის სოფელ ძველ სენაკში მცხოვრები ამბროსი რაჟდენის ძე გრიგოლავას სახლიდან დაუდგენელმა პირებმა მოიპარეს მაცივარი და ტელევიზორი. ამბროსი გრიგოლავამ ქურდების დადგენაში დახმარება სთხოვა თავის მკვიდრ ბიძაშვილს, ექვსჯერ ნასამართლევ, უსახლკარო კაკუშა ჭვეხის ძე გრიგოლავას, რომელიც მიხვდა, რომ ბიძაშვილმა გატაცებული ნივთების ქურდობაში ეჭვი მასზე მიიტანა და ამის გამო არაერთხელ მოუხდათ შელაპარაკება.

1993 წლის 10 თებერვალს კაკუშა გრიგოლავა, მთვრალი, შემთხვევით შეხვდა ამბროსი გრიგოლავას და ჩხუბი აუტეხა, შემდეგ კი ქურთუკის ჯიბიდან ამოიღო დიდი ზომის [illegible] დანა და ბიძაშვილს ჯერ სახეში, შემდეგ კი მუცლის არეში ორჯერ ჩაარტყა. მიღებული მძიმე დაზიანებების შედეგად ამბროსი გრიგოლავა ადგილზე გარდაიცვალა.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გაითვალისწინა, რომ კაკუშა გრიგოლავა ექვსჯერ იყო მსჯავრდებული სხვადასხვა განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის, ხასიათდება უარყოფითად, ამბროსი გრიგოლავას მკვლელობა ჩაიდინა დამამძიმებელ გარემოებაში — სიმთვრალეში და განუსაზღვრა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეს-ცენტრი.

• • •

თბილისის რეგიონალური სამხედრო სასამართლოს განაჩენით, რიგოსანს ზვიად გივის ძე მერაბიშვილს აფხაზეთში ომის დაწყების შემდეგ სამხედრო ნაწილის მიტოვების გამო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

ამავე სასამართლოს განაჩენით კახა ნებაძეს, რომელმაც მიატოვა სამხედრო ნაწილი სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდების მიზნით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონიაში მოხდით.

კრიმინალური ქრონიკა

ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრის სასადილოში მაკაროვის სისტემის პისტოლეტით მოკლეს ა. კოვალიანი.

მკვლელი მიიმალა.

• • •

ნინოწმინდაში 150-მეტრიანი საკონტაქტო სადენის ქურდობის ფაქტზე დააკავეს სოფელ ჯიგრაშენში მცხოვრებნი ა. კარაპეტიანი და ვ. მარაბიანი.

მიმდინარეობს გამოძიება.

• • •

თბილისის სადგურის პოლიციამ დააკავა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა, ადრე ნასამართლევი ზ. კალანდაძე და რუსთავში მცხოვრები, სადგურ თბილისის დამხარისხებელი სალოკომოტივო დეპოს ზეინკალი თ. პაპიაშვილი. მათ პარკში მდგომი ელმავლიდან მოხსნეს სპილენძის დეტალები და სპილენძის შემცველი სადენები.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის განცხადება

აფხაზეთში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე აფხაზი სეპარატისტებისა და მათ მიერ დაქირავებული ბანდების მიერ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის გენოციდის მოწყობის ფაქტზე და მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

აღნიშნული საქმის სრულყოფილ და ობიექტურ გამოძიებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო კონკრეტულ დამნაშავეთა მხილებაში, არამედ აფხაზი სეპარატისტების და მათი დაქირავებული მკვლელების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის, ადამიანურობის მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტების მსოფლიო საზოგადოებრიობის, შემდგომში კი ისტორიის სამსჯავროზე გატანისათვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით რესპუბლიკის პროკურატურა თხოვნით მიმართავს აფხაზეთიდან ლტოლვილ მოსახლეობას, რომლებიც მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის თვითმხილველები არიან, დაეხმარონ საგამომძიებლო ორგანოებს, მისცენ სათანადო ჩვენებები მომხდარი ტრაგედიის შესახებ. ეს ყოველი მათგანის მოქალაქეობრივი და მამულიშვილური ვალია.

თბილისში მყოფ ლტოლვილებს ვთხოვთ შეძლებისდაგვარად გამოცხადდნენ რესპუბლიკის პროკურატურაში, მისამართზე, გორგასლის ქუჩა № 24, ოთახები № 415, 308 და 310, ან დარეკონ ტელეფონებზე: 99-52-83, 98-25-82, 93-69-05, 98-25-78. რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში მყოფ ლტოლვილებს ვთხოვთ გამოცხადდნენ ადგილობრივ პროკურატურებში.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა.

დაიწყო ინდივიდუალური და საუწყებო ხელმოწერა 1994 წლის პირველი ნახევრისათვის!

მიმდინარე წლის 7 ოქტომბრიდან დაიწყო ინდივიდუალური და საუწყებო ხელმოწერის მიღება რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებზე 1994 წლის პირველი ნახევრისათვის.

გადარიცხვით და ინდივიდუალური ხელმოწერა იანვრიდან ჩაბარებით რესპუბლიკურ გამოცემებზე მიიღება 25 ნოემბრამდე.

ხელმოწერის გაფორმება ხდება 6 თვის ვადით პრესის გავრცელების საწარმოებში, კავშირგაბმულობის საქალაქო და რაიონულ საფოსტო განყოფილებებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო.

TBC Bank

აწარმოებს კერძო და იურიდიული პირებისაგან ანაბრების მიღებას შემდეგი პირობებით:

ნაღდი ანგარიშსწორებით მინიმუმ – 50000 კუპონი.
3 თვით – 36%
6 თვით – 90%
9 თვით – 162%
12 თვით – 240%
კლიენტის სურვილის მიხედვით თვიური დივიდენდის გაცემა მოხდება ყოველთვიურად.

უნაღდო ანგარიშსწორებით მინიმუმ – 500000 კუპონი.
6 თვით – 60%
9 თვით – 108%
12 თვით – 168%

TBC — ბანკის მისამართია:
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №11,
ტელ: 22-06-61, 22-04-06.

ჭადრაკი

ლონდონში დაიწყო „ტაიმსის“ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მეორე ნახევარი გარი კასპაროვსა და ნაიჯელ შორტს შორის. მე-13 პარტიაში თეთრებით მსოფლიო ჩემპიონი თამაშობდა.

34-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. ეს ზედიზედ მეოთხე ყაიმი გახლავთ.

შეხვედრის ანგარიში გახდა 9:4 კასპაროვის სასარგებლოდ. საბოლოო გამარჯვებისათვის მას დარჩენილ 11 პარტიაში 3 ქულის მოპოვება სჭირდება, რაც, დაგვეთანხმებით, მხოლოდ დროის საკითხად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ჩოგბურთი

დევისის თასის გათამაშების ფინალური მატჩი გერმანია — ავსტრალია დეკემბერში გაიმართება დიუსელდორფში.

ნახევარფინალში ევროპელებმა სტუმრად სძლიეს შვედებს, ხოლო „მწვანე კონტინენტის“ წარმომადგენლებმა ასევე მოწინააღმდეგის კორტებზე დაამარცხეს ინდოელები.

ძიუდო

2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო — ასეთია ტატამის ქართველ ოსტატთა გამოსვლის შედეგი კანადის ქალაქ ჰამილტონში დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე. პრიზიორთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

გუნდურ ჩათვლაში 10 მედლით (მათ შორის 4 ოქროსია) გაიმარჯვა იაპონიამ.

ხსოვნა

რევაზ თარხან-მოურავი

გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი რევაზ გიორგის ძე თარხან-მოურავი. ქართულ კულტურას და სახვით ხელოვნებას გამოაკლდა ცნობილი ფერმწერი და გრაფიკოსი, ჭეშმარიტად გამორჩეული, თავისთავადი პიროვნება. ასეთი იყო იგი თავის ნაწარმოებებში და ცხოვრების წესში.

რევაზ თარხან-მოურავი დაიბადა 1928 წლის 21 დეკემბერს ქ. თბილისში, ძველი ქართველი ინტელიგენტისა და ცნობილი იურისტის ოჯახში. მან მხატვრული განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, დ. კაკაბაძის და ს. ქობულაძის ხელმძღვანელობით, რომელიც 1954 წელს დაამთავრა. 1958 წლიდან იგი საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია, 1972-80 წლებში იყო საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი. 1965 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის, ხოლო 1980 წელს კი საქართველოს სახალხო მხატვრის საპატიო წოდება.

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი მუდმივად მონაწილეობდა ყველა ღირსშესანიშნავ სამხატვრო გამოფენაში, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

მხატვარმა დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებაში. გრაფიკულ სერიაში ნიკოლას გილიენის ლექსების ილუსტრაციებისათვის გამოვლინდა სრულიად ახლებური დამოკიდებულება ლინოგრავიურისადმი. ქართული სიმღერებისა და ცეკვების მოტივებზე შექმნილი გრაფიკული სერიები ეტაპური მოვლენა იყო ქართული გრაფიკის განვითარებაში. ხაზის მძაფრი მუსიკალური გრძნობა ეროვნულ ელფერს ანიჭებს მის გრაფიკულ ნამუშევრებს და ამჟღავნებს ეროვნულ ხასიათს და ტრადიციებს.

ხაზის ფაქიზ გრძნობას კარგად ავლენდა იგი მონუმენტურ მხატვრობაშიც. მისი მონუმენტური პანოები ამშვენებს თბილისის რიგ საზოგადოებრივ ნაგებობებს. სასტუმრო „ივერიის“ წინ მდებარე კაფე „მეტროს“ ცენტრალური კედლის მოზაიკა ერთ-ერთი პირველი მონუმენტური პანო იყო თბილისში. მის მიერ შესრულებულ მონუმენტურ ნამუშევართა შორის აღსანიშნავია ყვარლის ღვინის ქარხნის სადეგუსტაციო დარბაზის კედლის მოხატულობა — „დიონისეს დღესასწაული“, რომელიც გამოირჩევა მხატვრული ღირსებით და ოსტატურად ერწყმის ინტერიერს.

მხატვრის შემოქმედებაში ნათლად გამოჩნდა ფორმის თავისებური პლასტიკური ხედვა, წარმოსახვის უაღრესად განვითარებული გრძნობა და მონუმენტური განზოგადების უნარი. სახვითი ხელოვნების უსაზღვრო სიყვარული, მაღალი პროფესიონალიზმი, მომთხოვნელობა თავისთავისადმი, პრინციპული დამოკიდებულება თავის პროფესიისადმი, შეხამებული არტისტიზმთან და თავისებურ იუმორთან, რომელიც ცხოვრების მძიმე წუთებშიც კი ნათლად ვლინდებოდა, არაჩვეულებრივად მიმზიდველს ხდიდა მის პიროვნებას.

მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია არამარტო ხელოვნებისთვის, არამედ მთელი ეროვნული კულტურისთვის.

**საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო,
საქართველოს მხატვართა კავშირი.**

თამარ ვარდანაშვილი

საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შრომის ვეტერანი თამარ ვარდანაშვილი.

ქუთაისის მოსახლეობას კარგად მოეხსენება ქალბატონი თამარის მოღვაწეობა, იგი წლების მანძილზე ძალასა და ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდა ქალაქის კეთილდღეობას.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მუშაობის პერიოდში ქალბატონი თამარის საზრუნავი იყო მშრომელთა წერილების გულისხმიერი განხილვა, გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებზე ზრუნვა, პრაქტიკული დახმარების გაწევა, რასაც დიდი გულმხურვალებით ასრულებდა.

საქართველოს ვეტერანთა საბჭო თანაგრძნობასა და ღრმა სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ამხანაგებსა და მეგობრებს.

საქართველოს რესპუბლიკის ვეტერანთა საბჭო.

ბესარიონ კვილაძე

საქართველოს თავისუფლებისა და მისი ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ბესარიონ კვილაძე.

ბესო კვილაძე დაიბადა 1962 წელს. თავისი ხანმოკლე სიცოცხლე სამშობლოსა და მეცნიერების სამსახურში გაატარა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში დატოვეს. შემდგომ ამავე ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი იყო. 1990 წელს ბესო კვილაძემ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა. მისი სამეცნიერო საქმიანობა თანამედროვე ფიზიკის მეტად აქტუალურ საკითხებს — დაბალი ტემპერატურების არეში მატერიის ფუნდამენტური თვისებების შესწავლას ეხებოდა.

აფხაზეთში ომის დაწყების პირველივე დღეებიდან მოხალისედ წავიდა სამშობლოს დასაცავად, გახდა ჩინებული არტილერისტი ოფიცერი. ხანმოკლე შესვენების შემდეგ, რომელიც ავადმყოფობით იყო გამოწვეული, კვლავ და კვლავ ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა მხედრიონის რიგებში. საბედისწერო გამოდგა მისთვის სოხუმისათვის გამართული ბრძოლები: როგორც კი გართულდა სიტუაცია, მან კვლავ მიაშურა სოხუმს და ტრაგიკულად დაიღუპა იმ სამგზავრო თვითმფრინავში, რომელიც ჩამოაგდეს საქართველოს მტრებმა.

ბესო კვილაძე თავმდაბალი, გულისხმიერი, ყველასთვის კეთილმოსურნე კაცი იყო. ის გახლდათ ჩინებული მეცნიერი, მოყვარული შვილი, მეუღლე, მამა, მეგობარი, ჩვენი კოლექტივის პატივსაცემი და საყვარელი წევრი.

ფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა სამძიმართან ერთად მადლობას მოახსენებს ბესოს ოჯახს ასეთი ღირსეული მამულიშვილის აღზრდისათვის.

მსუბუქი იყოს, ბესო, შენთვის მშობლიური მიწა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა, უზენაესი სასამართლო, იურისტთა კავშირი, მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა იუსტიციის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული იურისტი, იურისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის ყოფილი მინისტრი

ვიქტორ აბიბოს ძე შარაშენიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სანამ ომია

მოსკოვის 3-4 ოქტომბრის მოვლენებმა დაასამარა საბჭოთა იმპერიის აღდგენის მცდელობა, ბედკრულ საქართველოს გადარჩენის კიდევ ერთი დიდი პერსპექტივა გაუჩინა.

დღეს უკვე ცხადია, რომ აფხაზეთის დროებითი დაკარგვა, სამოქალაქო ომის მიმქრალი ნაპერწკლის გაღვივება ჩვენი საზოგადოებრიობისათვის კარგად ცნობილ ათას სხვა მიზეზთან ერთად ქვეყანაში არსებულმა მძიმე კრიმინოგენულმა სიტუაციამ, კანონის საყოველთაო უპატივცემულობამ, მეომრისა თუ რიგითი მოქალაქის უდისციპლინობამ, უმწიფარმა მოქალაქეობრივმა პოზიციამ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში გამეფებულმა სრულმა ქაოსმა და განუკითხაობამაც განაპირობა.

საუბედუროდ, ომმა ვერაფერი ასწავლა ჩვენს დამნაშავეთა სამყაროს, სამშობლოსკენ გული ვერ მოუბრუნა, თავისი შავი საქმეების კეთებაზე ხელი ვერ აიღებინა. იმ დროის განმავლობაში სანამ ომია, არც დედაქალაქში და არც სხვა რეგიონებში კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესება არ შეიმჩნევა. კვლავ ისე კლავენ, როგორც კლავდნენ, ისე ძარცვავენ, როგორც ძარცვავდნენ...

ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ბევრი პოლიციელი სხვადასხვა ცხელ წერტილებში იბრძოდა და სისხლს ღვრიდა. ამიტომაც არის, რომ სანამ ქვეყანაში ომია, სამართალდამცავი სამსახურების ძირითადი ძალები დაკავებულია — კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესებაზე ლაპარაკი ცოტა არასერიოზულია.

თუნდაც სამშობლოს ერთიანობის, მთლიანობისა და ბედნიერებისათვის წარმოებულ სამამულო ომს ყველა ერთგვაროვნად როდი უყურებს: რა საიდუმლოა, რომ ზოგი დიდ გამორჩენას მოელის მისგან, ზოგი საერთოდ გულგრილი და ნეიტრალურია, ზოგს კი ჰგონია, რომ სისხლისღვრა ყველა ნაკვალევს წაშლის, დამნაშავესაც კი გმირად აქცევს...

ვის არ აკლია დღეს პური, მეომარს რომ აკლდეს. თავდაცვის სამინისტროს 21-ე ბრიგადის მოხალისემ რომული გოგისვანიძემ ქუთაისის № 4 პურის ქარხნის დირექტორი ვახტანგ ფხაკაძე მოკლა. გოგისვანიძე 50 წლის კაცია, ის ადრეც ყოფილა ნასამართლევი. ნუთუ წლებმა და ციხემ ვერაფერი ასწავლეს?

სამწუხაროდ, ასეთი დანაშაულობები ჩვენს დროში იშვიათი აღარ არის. კარგი და მისასალმებელია სამშობლოს რომ იცავ, მაგრამ ეს ყველაფრის უფლებას როდი გაძლევს. სამხედრო ფორმა იმისთვის კი არ არის, ყველა უღირსი საქციელი დამალოს.

რაღა ფორმიანს გამოუდევ, აგერ, წყალტუბოში უფორმოები, ჩვენის დასანახად პატიოსანი მოქალაქეები რომ არიან, ისე [illegible], არარსებული ფქვილისგან პურს აცხობენ და სპეკულაციის უჩინარ ბადეებს ქსოვენ, რატომ ვერ ხედავენ, გამიწყრება მკითხველი.

ვნახოთ, ამჯერად, ავანსცენაზე გუმათის პურის ქარხნის ბრიგადირი-მცხობელი მურად [illegible] გამოდგა. მან 7,5 ტონა პირველი ხარისხის პურის ფქვილი მიიღო გამოსაცხობად, აქედან, 3,5 ტონა სოფელ ნამოხვანის მცხოვრებლებს მიჰყიდა, რითაც 800 ათას კუპონზე მეტი თანხა მიითვისა.

პურით სპეკულაცია დღეს ერთობ სარფიანი საქმეა. იყიდიან თბილისში — გაყიდიან მარნეულში, სომხეთში... ომიანობის დროს, როცა ხალხის ერთადერთ საკვებს პური წარმოადგენს, ნამდვილი უზნეობაა ასეთი მოქმედება. როგორც ჩანს, საქართველოს იმიტომ კი არ უჭირს, რომ პერმანენტულ ომებშია ან ამერიკელები არ ეხმარებიან. წესიერი და პატიოსანი ხალხის გაჭირვებაა ჩვენს ქვეყანაში, იმ ადამიანების ნაკლებობაა მეზობლის ჭირი საკუთარ ჭირად რომ მიაჩნია, ლხინი — ლხინად.

ზოგი საქართველოს იმითაც ამარცხებს, უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქის თუ დიპლომატის სიცოცხლის საფრთხეს რომ უქმნის, ძარცვავს და მასხრად იგდებს. გარდაბანში რუსეთის საელჩოს კუთვნილ ავტომანქანას თავს დაესხნენ — გატაცება უნდოდათ.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

როცა ვერ აამუშავეს, ჯანაწყინდნენ და მძღოლი გამოჯოხეს, ესეც არ აკმარეს — ექვსი ბოთლი კონიაკი და 20 ლიტრი ბენზინი წაართვეს. ამას როგორღაც საელჩოს სამხედრო მრჩეველი ვლადიმერ გოლუბი შეესწრო. გგონიათ, ის დაინდეს?! — გვარიანად სცემეს, მანქანის სათადარიგო საბურავი წაართვეს და მიიმალნენ.

სასწრაფოდ გატარდა ოპერატიული ღონისძიებები. ერთ-ერთი მოძალადე თბილისელი გაგა ავალიანი გამოვლენილი და დაპატიმრებულია. ნაძარცვი ამოღებულია. ავალიანი 33 წლისაა. ქრისტეს ჯვარცმის ასაკში კაცს ცოტა მეტი ჭკუა და მოთმინება მართებს.

ამ ბოლო დროს ჩვენი „განგსტერები“ უცხოელ მოქალაქეებს რატომღაც დაბალ ღობედ მიიჩნევენ, მეტად უპატივცემულოდ ეკიდებიან, სცემენ და ძარცვავენ, ახლა ერთ-ერთ ბათუმელ უცხოელებზე მონადირეს გაგაცნობთ, მას ლევან ბერიძე ჰქვია. 28 წლის კაცმა ჯერჯერობით დაუდგენელ ორ ბოროტმოქმედთან ერთად იაპონელი ტორუ სუგიტას და შოტლანდიელი მარკ ტირენის ძარცვა გადაწყვიტა. ნაძარცვს — ვიდეოკამერას, ფოტოაპარატს, რადიომიმღებს, და 1600 ამერიკულ დოლარს — ალბათ კარგად შეირგებდა კიდეც, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს რომ არ [illegible] და დროზე არ დასდგომოდნენ დანაშაულის კვალს.

დაკვირვებული თვალი შენიშნავს, რომ ნელა, შეუმჩნევლად, მაგრამ საკმაოდ გეგმაზომიერად, კრიმინოგენული სიტუაციის ეპიცენტრი ბათუმში გადადის. ამის დასასაბუთებლად ისიც კმარა, რომ ამ დღეებში სამსახურებრივ ავტომანქანაში ხელვაჩაურის რაიონის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი ვაჟა გოგიტიძე დაცხრილეს, მასთან ერთად მყოფი პოლიციელები კი მძიმედ დაჭრეს.

ამჟამად ბათუმში და მის ახლომახლო ყოველდღიურად არა ერთი მკვლელობა, ყაჩაღობა, ქურდობა და სხვა მძიმე დანაშაულობები ხდება, ნარკომანია და ნარკობიზნესი კი თბილისზე ნაკლებ როდი ჰყვავის. მეტად საშიში იქნება, თუკი თვითკონტროლს აღარ დაიმორჩილებს და წონასწორობიდან გამოვა საქართველოს ეს ერთადერთი, კრიმინოგენული თვალსაზრისით, მდგრადი კუთხეც.

საქართველოში დღეს ბევრი ერთმანეთზე დამოკიდებული პრობლემა დაგროვდა, ამდენად, ერისა და მისი მთავრობის მოვალეობაა ყველა ჭირს ერთად კომპლექსურად ებრძოლოს და არა ცალ-ცალკე. ამ მხრივ, ზესტაფონელთა მოქმედებაა მისაბაძი. ამ რაიონის სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაზე თავის დროზე ბევრი უკმაყოფილება გამოითქვა. ახლა, მართალია, ომი აქეთ, მაგრამ, დამნაშავეობასაც შედარებით წარმატებით ებრძვიან. მკითხველმა უკვე იცის ცნობილი ყაჩაღის „რაჭას“ — თამაზ პეტრიაშვილის ლიკვიდაციის შესახებ. ხაფანგში ნელ-ნელა მისი ჯგუფის სხვა წევრებიც გაებნენ. ამას წინათ ზესტაფონში დააკავეს უჩა ბიწაძე, რომელმაც თ. პეტრიაშვილთან, ბ. ვარდოსანიძესთან (ორივე დაღუპულია) და ამჟამად ძებნილ ბადრი ბუცხრიკიძესთან ერთად ფულის გამოძალვის მიზნით, გაიტაცა ზესტაფონის ღვინის ქარხნის მეღვინეები — როლანდ ალადაძე და მერაბ ჯუმბაძე, აგრეთვე თამაზ თუთარაშვილის ავტომანქანა. ტყვეები სვირის ტყეში „დაიბეს“ ხუთი დღის სცემეს და გამოსასყიდ თანხად 30 მილიონი მანეთი მოსთხოვეს. ბოლოს 15 მილიონი მიიღეს. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულებს ამის შესახებ პოლიციაში არ განუცხადებიათ.

მეგონა, საქართველოში სპილენძი აღარ დარჩა-მეთქი; თურმე ნუ იტყვით, აგერ, რუსთავში არ შემორჩენილა! ქურდები ამჯერად ქარხანა „ავტოტვირთმზიდავის“ მისამართზე მივიდნენ. მორგებული გასაღებებით მათ ცენტრალურ საწყობში შეაღწიეს, მოიპარეს სპილენძის მილები, რგოლები და მიიმალნენ, თუ „ადგილზე დარჩნენ“, არავინ იცის. ამას იმიტომ ვამბობ, რომ, ჯერჯერობით, მხოლოდ ქარხნის ღამის დარაჯები არიან დაპატიმრებულნი.

სანამ საქართველო სასოწარკვეთას მისცემია, არ იცის, როგორ დაამარცხოს შინაური თუ გარეშე მტერი — ზოგიერთი მისი უბედურებით სარგებლობს და ჯიბის გასქელებისათვის იბრძვის. პატრიოტიზმიც ამას ჰქვია, ღმერთმანი?

წესრიგის დამყარება არც ორი დღის საქმეა და არც ორი კვირისა. ის არც ცნობილი ორი-სამი ყაჩაღის გამოვლენა და დაპატიმრებაა და არც მათი ლიკვიდაცია. წესრიგისა და კანონიერების აღდგენას ასობით ასპექტი აქვს და ყველა მათგანი ჯაჭვის რგოლებივით არის გადაბმული ერთმანეთზე.

ზაურ მაკარაძე.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ოფსეტური პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА